პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., წ.-არმ. და მატარებელთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100 000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 5000 მან.

ქართ. ბონებით ყველგან.

№ 223 პარასკევი, 29 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 29 სექტემბერი 1922 წ. № 223

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურ აღმასკომის სესია

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამა წლის სექტემბრის 30-თვის მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია, შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ (მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).

3) მიწად-მოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ (მომხსენებელია მიწად-მოქმედებას სახ. კომ. ს. თოდრია).

4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).

8) მოხსენება შიმშილზე (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

0—4 ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ყველა პარტიულ ორგანიზაციას

ცირკულიარულად.

ვაკუთნებთ რა დიდ მნიშვნელობას კოოპერაციის მუშაობას, რ. კ. პ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი ყველა პარტორგანიზაციის ყურადღებას აქცევს შემდეგი ღონისძიებათა გატარების აუცილებლობაზე.

1. განმარტება პარტიის წევრთათვის მომხმარებელ კოოპერაციის მნიშვნელობისა და მის წინაშე მდგარ ამოცანების. ამ მიზნით ერთ ერთ მორიგ პარტიულ დღეს ყველა იაჩეიკაში უნდა გაკეთდეს მოხსენებები კოოპერაციაზე, ამასთან იხელმძღვანელონ სრულიად რუსეთის პარტკონფერენციის რეზოლიუციით კოოპერაციის შესახებ.

2. კოოპერაცია წარმოადგენს ერთ ერთ უფრო მოხერხებულ დარგს ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებისათვის ანტისაბჭოთა პარტიების მიერ.

ამ მოვლენასთან საბრძოლველად აუცილებლად საჭიროა პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერება კოოპერატიულ ორგანიზაციებზე, და ამისათვის გაგზავნა იქ სამეურნეო სფეროში გამოცდილ პარტიულ მუშაკებისა. უნდა ჩატარდეს რესპუბლიკის მასშტაბით აღრიცხვა ყველა პარტმუშაკებისა, რომელნიც როდისმე მუშაობდნენ, ან ეხლა მუშაობენ კოოპერაციაში. აგრეთვე ხშირად დაისვას კოოპერატიულ ფრაქციების მოხსენებები—ანგარიშები პარტკომების წინაშე.

3. მიექცეს ყურადღება მომხსენებელ კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების მუშურ ორგანოებათ გარდაქმნას კომუნისტურ გავლენის და ხელმძღვანელობის გასატარებლად კოოპერაციის მუშაობის დროს სოფლად გლეხურ მასსებს შორის.

მომხმარებელ კოოპერაციას სოფლად ფართე მუშაობის წარმოება შეუძლია მხოლოდ ნივთიერ და ფინანსიურ განმტკიცების საფუძველზე მისი ძირითადი ნაწილის, ქალაქის კოოპერაციის საძირკვლის, რომელიც უმთავრესად მუშურ კოოპერაციას წარმოადგენს. დასტურებულ იქნას აუცილებლობა კოოპერატიულ ორგანიზაციების ფრიად მჭიდრო დაკავშირებისა პროფკავშირებთან და პროფსაბჭოებთან და პირველების ანგარიშ-ვალდებულება უკანასკნელების მიმართ.

4. ყველა კოოპერატივების და მათი კავშირების ყურადღება და მუშაობა მიმართულ იქნას თავიანთ წევრების და მათი მოთხოვნილებათა ნამდვილად დაკმაყოფილებისაკენ. კოოპერაციის ვაჭრობა უნდა უმთავრესად იყოს თავმოყრილი, როგორც მის შიგნით, ისე სახელმწიფოებრივ დაწესებულებებსა და წარმოებებთან. ამასთან ეს საქონლის ტრიალი უნდა ხდებოდეს უშუალოდ დაინტერესებულ ორგანიზაციებ შორის, ყოველგვარ შუამავლების და კომისიონერების გარეშე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამას ენიჭება ადგილობრივი ნედლეულის გასაღების საქმეში რ. ს. ფ. ს. რ. და საზღვარ გარედ გასაზიდად.

კოოპერაციის ვაჭრობა კერძო ვაჭრებთან, რასაც ეხლა ფართე ადგილი აქვს, უნდა იქნეს საგრძნობლად შეზღუდული, გაძლიერებული თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შინაკოოპერაციული საქონლის ტრიალით და მუშაობით სახელმწიფო ორგანოებთან.

5. საჭიროა სასწრაფო აღმოფხვრა კოოპერაციის სავაჭრო პრაქტიკის დამახინჯების და გადახვევათა, რაც უფრო მკაფიოთ გამოიხატება კოოპერატივების და მათი კავშირების მიერ თავიანთ მისამართების, დატვირთვის ნორმების და ეტიკეტების, მარკების გაზიდვის, და მათთვის მინიჭებულ უფლებების და უპირატესობათა გაყიდვაში. ეს მოვლენა წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას. მოჩვენებითი მოგების ძიებით გატაცებულნი, კოოპერატივები გვერდს უხვევენ თავიანთ ძირითად ამოცანას—წევრების დაკმაყოფილებას და ყოველგვარად უწყობენ ხელს კერძო კაპიტალების დაგროვებას სახელმწიფოს და კოოპერატიულ მოსახლეობის აშკარა საზიანოდ. მუშაობის ასეთ მეთოდებს პარტორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა მოუღონ ბოლო.

6. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მხრით შემჩნეულია დიდი უნდობლობა კოოპერაციისადმი. სახელმწიფო ორგანოები ძალიან ხშირად არჩევენ მიმართონ თავის პროდუქციის რეალიზაციისათვის და თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებლად კერძო ბაზარს და არა კოოპერაციას! სამეურნეო სახელმწიფოებრივ დაწესებულებების და წარმოებათა ასეთი დამოკიდებულების შეცვლა დგას დღის წესრიგში და უნდა მიეცეთ მათ პრაქტიკული დირექტივი განსაკუთრებით კოოპერაციის საშუალებით მუშაობის აუცილებლობის შესახებ, და უკანასკნელს გაეხსნას ამ შემთხვევებში საქონლის შესაძლებელი კრედიტი და ის ჩაყენებულ იქნეს მუშაობის ნორმალურ პირობებში.

7. დაბლა მდგარ პარტ ორგანიზაციების ყოველთვიურ ანგარიშებში ზევით მდგარ ასეთების მიმართ უნდა იქნეს შემოღებული „კოოპერაციის“ განყოფილება, რომელშიაც უნდა მოთავსდეს ვრცელი ცნობები თავის რაიონის კოოპერატიულ ცხოვრების მდგომარეობაზე და ყველა პარტიულ ღონისძიებებზე, რომელიც გატარებულ იქნა საანგარიშო პერიოდში.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ორახელაშვილი.

ჩვენი ამოცანები კოოპერაციაში

კოოპერაციას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სრულიად რუსეთის უკანასკნელმა პარტკონფერენციამ და მის შესახებ ვრცელი ამომწურავი რეზოლიუცია გამოიტანა.

საქართველოს კომპარტიის კონფერენციამაც, რომელიც ამ რამოდენიმე თვის წინედ შესდგა, კოოპერაცია წაიხადა თავის მსჯელობის საგნად და შესაფერი დირექტივები მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ დარგში სამუშაოდ.

დღის ზევით იბეჭდება ცირკულიარული წერილი, რომელშიაც განმარტებულია პარტიის მორიგი ამოცანები კოოპერაციაში.

ჩვენი გაზეთიც არა ერთხელ შეხებია ამ საკითხს.

უმაღლეს პარტიულ ორგანოების ასეთი ყურადღება კოოპერაციისადმი სავსებით გასაგებია და აიხსნება იმ მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება კოოპერაცია, და იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ენიჭება დღევანდელ მომენტში.

აშკარად უნდა ითქვას, რომ ჩვენი კოოპერაცია (ვლაპარაკობთ სამომხმარებლო კოოპერაციაზე) დაავადებულია, იქ მისი მოქმედება მოდუნებულია, ან მახინჯ სახეს ღებულობს, და მას ესაჭიროება სოციალური გარდაქმნა, გაჯანსაღება.

ცნობილი ფაქტია, რომ მომხმარებელი კოოპერაცია ჰცდა თავის პირდაპირი დანიშნულებას, წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას—და სპეკულიაციის მორევში გადაეშვა. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ, როგორც აღნიშნულ ცირკულიარშია მოხსენებული, კოოპერაცია, იმის მაგივრად, რომ საკუთარი შემოქმედებით მუშაობა გააჩაღოს, და ამისათვის გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლებები, და შეღავათები, ხშირად ჰყიდის ამ უკანასკნელებს კერძო პირებზე და ამ გვარად კერძო კაპიტალის, სპეკულიაციის მსახურის როლში გამოდის. ამ არანორმალურ მოვლენას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. კოოპერაცია სპეკულიაციას კი არ უნდა უწყობდეს ხელს, არამედ სასტიკად უნდა ებრძოდეს მას და ცდილობდეს საკუთარი სამეურნეო და კომერციულ საქმიანობით ბაზრის მოწესრიგებას, ქვეყნის ეკონომიურ მდგომარების გაუმჯობესებას, მომხმარებელ მშრომელ მასსის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მაგრამ ეს ამოცანა კოოპერაციამ რომ პირნათლად შეასრულოს, საჭიროა მისი ხელმძღვანელ ორგანოების გარდაქმნა. არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ კოოპერაციაში ჯერ კიდევ მოკალათებულნი არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც მშრომელთა ინტერესებზე და საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებაზე ყველაზე ნაკლებ ფიქრობენ. პირიქით, მათი ფარული თუ აშკარა მიზანს შეადგენს ჩვენი ცხოვრების აფორიაქება, მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება და საბჭოთა წყობილებისათვის ზურგში ლახვარის ჩაცემა. ამისათვის ისინი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, სიხარბით იყენებენ რა „ლეგალურ შესაძლებლობას,“ რომელიც დაკავშირებულია ახალი ეკონომიური პოლიტიკასთან. ასეთი ელემენტები შეუბრალებლად უნდა იქნან ალაგმულნი. ჩვენი ძირითადად ამოცანას შეადგენს დაპყრობა კოოპერაციის, განდევნა იქედან ყველა არასაიმედო ელემენტების.

კოოპერაცია ეს ისეთი სფეროა, სადაც ჩვენი პარტია უშუალოდ ხვდება ფართე მშრომელ მასსებს, და საჭიროა ეს მნიშვნელოვანი ორგანიზაცია სავსებით მოექცეს კომუნისტური გავლენის, და ხელმძღვანელობის ქვეშ და ამ გზით გაფართოვდეს და განმტკიცდეს პარტიის იდეიურ ორგანიზაციული გავლენა მშრომელ მასებზე.

ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გამოვიჩენთ ამ დარგში მუშაობის უნარს და ხალისს, თუ კოოპერატიულ მასსას პრაქტიკულად და თვალსაჩინოდ დაუმტკიცებთ ჩვენი მოღვაწეობის სარგებლობას. ამიტომ საჭიროა გავგზავნოთ კოოპერატიულ ორგანოებში გამოცდილი, სამეურნეო საქმის მცოდნე და პატიოსანი ამხანაგები, რომელნიც შესძლებენ არეულ კოოპერატიულ ცხოვრების მოწესრიგებას, როგორც მომხმარებელ მშრომელ მასსის საკეთილდღეოდ, ისე საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის განსამტკიცებლად.

ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან კოოპერატიულ ფრონტს მიაპყრონ საგანგებო ყურადღება, არ დაზოგონ ძალები და საშუალებანი ამ სფეროში სასურველ შედეგების მისაღწევად.

მენშევიკები და ბანდიტიზმი საქართველოში

ახლა უკვე ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მენშევიკებმა, თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც გადასწყვიტეს თავისი მფარველობის ქვეშ მიიღონ ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელებული ბანდიტიზმი. მენშევიკები ცდილობენ ეს ბანდიტიზმი მიზან შეწონილ მოძრაობად ჩამოაყალიბონ, გააღვიონ და მისცენ მას პოლიტიკური შინაარსი და სახე. ზედმეტია ლაპარაკი ნაციონალ დემოკრატებზე და მემარჯვენე ფედერალისტებზე, რომლებიც არც კი თაკილობენ ბანდიტურ მოძრაობისადმი თავისი თანაგრძნობის გამომჟღავნებას.

მენშევიკები უფრო „დარბაისლური“ ხალხია და ამასთან მფრთხალიც, და ჩვენ ანგარიშს ვუწევთ მათ მოდგამ ფიცს, რომ მათ ბანდიტურ მოძრაობასთან საერთო არაფერი ქონებიათ, ვინაიდან მას რაცხავენ გულთან უახლოეს და აღთქმულ ზრახვათა დაჩქარებულ გამომჟღავნებათ და დემონსტრაციათ, მაგრამ შესაფერ ჟამამდის... სანამ არ მიიღეს ბ ნ ჟორდანიასა და მის დამქაშთაგან, რათაც არ დაჯდეს, უახლოეს ვადაში მისცენ მათ კატეგორიული ფაქტები საქართველოში აჯანყების და საქართველოს გლეხობის ოკუპანტ ბოლშევიკების წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლის შესახებ.

და აი მენშევიკებიც ფუსფუსობენ!

მაგრამ მოხდა ერთი არასასიამოვნო მოვლენა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კურდღელისებურ მფრთხალ მენშევიკების ბელადებისათვის—მათ სრულიად შეუმჩნევლად შესცვალეს მორიდებული „ინფორმაციული“ ტონი, რომლითაც ისინი აქედან გამოდიოდენ ბანდიტურ მოძრაობის შესახებ,—აშკარა „თანაგრძნობის“ ტონით, რომელიც არავითარ ორჭოფობას არ იწვევს მენშევიკების პოზიციის გამორკვევის დროს.

მენშევიკების ცეკას არალეგალური ოფიციალურ ორგანოს „საქართველოს ხმა“-ის მე 13 ნომრის დამატებაში ისინი იმფორმაციული წესით აუწყებენ ნათესავს და ნაცნობთ, თუ როგორ ვერაგულათ იქნენ მოკლულნი „ოკუპანტების ჩეკას“ მიერ თორმეტი სრულიად უდანაშაულო ადამიანი... რომლებიც აქტიური მონაწილენი იყვნენ ან თანამონაწილე თავზე ხელაღებულ და გახრწნილ ყოფილ თავადის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ბანდიტური შაიკის. ამ დამატებაში გამოქვეყნებულ ფრიად ღირს შესანიშნავ ცნობებით „მთელ საქართველოს ხალხს“, დაბოლოს, ემცნო, თუ რა დაბალ ინსტინქტებმა აიძულეს „ოკუპანტები“ უდანაშაულოთა მსხვერპლათ დახვრეტა. თურმე ისინი იქმნენ დახვრეტილნი, როგორც მძევლები, იმ შურისძიებით, რომელიც სწყუროდათ ქართველ ბოლშევიკებს, აჯანყებული ქართველი ხალხის მიმართ, იმ ხალხის, რომელიც ღონთილია სიძულვილით ოკუპანტების და ეს წინააღმდეგ. კიდევ ცოტაა! თურმე ეგ შური და აღშფოთება იქამდის მიდის, რომ მოთმინების ფიალა აღვსებულა, და ბოლშევიკებმა, რომელიც არიან უძლურნი დუშეთისა და თიანეთის მაზრებში სტიქიურ აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლაში პირველათ მოხვდრილ უდანაშაულო ქართველების დახვრეტა, გადასწყვიტეს ოღონდ-კი იშოვონ რაიმე მიზეზი და დაიკმაყოფილონ თვისი მხეცური ინსტინქტები.

განა არის საჭირო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორი საზიზღარი და გაიძვერა სულის პატრონი უნდა იყოს ადამიანი რომ ასე უსინდისოთ იცრუოს.

მენშევიკური ცნობებით, დუშეთში დახვრეტილ იქნენ სრულიად უდანაშაულონი—მემარჯვენე ფედერალისტი სტუდენტი შანიძე და ორი ფშაველი. ნუთუ გაერთიანებულ კონტრ-რევოლიუციის ბელადები ფიქრობენ, რომ შეცდომაში შეიყვანენ საქართველოს მშრომელთ პროვოკაციულ და ყალბ ცნობების გავრცელებით? თუ რამდენათ არის სიმართლის მოკლებული ხმები, ამას საკმაო სიაშკარავით ლაპარაკობენ ფაქტები. ჩვენი ცნობა რავები ჩოლოყაშვილის ბანდების დაზვერვის დროს წააწყდნენ სამი კაცისაგან შემდგარ მოწინააღმდეგის მზვერავთ, რომელნიც სამხედრო ხერხიანობით—იარაღით ხელში, როდესაც შეეცადნენ სროლის ატეხას, ჩავარდნენ ტყვეთ. იმ დღისვე გამოირკვა, რომ ერთი მათგანი ყაჩაღების სახელოვანი მეთაურია, რომელიც მთელი წლების შიშის ზარს სცემდა დუშეთის მაზრის მცხოვრებთ—ჯაგარი—ჩოლოყაშვილის მარჯვენა ხელი და თანაშემწე. მეორე მზვერავი აღმოჩნდა მემარჯვენე ფედერალისტი სტუდენტი შანიძე, ვაჭრის შვილი, რომელიც წავიდა ბანდებში მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად. ვინაობათა გამორკვევის შემდეგ, ბანდიტები დახვრეტილ იქნენ ქართული პოლკის № მწყობრის მიერ მაგარას კარში, ბანდიტების მოქმედების ზონაში, და არა დუშეთში და მის მაზრაში, სადაც არავითარი ბანდიტები არ არიან.

მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელია არა თავხედური სიცრუე და პროვოკაციები, რომლებითაც გამოდიან კონტრ რევოლიუციონური პარტიები და, კერძოთ, მენშევიკები საქართველოში,—დამახასიათებელია ის, რომ უკანასკნელებმა გადასწყვიტეს მიიღონ თავის მფარველობის ქვეშ როგორც ცალკე ბანდიტები და მათი თანამონაწილენი,—ისე მთელი ბანდიტური მოძრაობა. ეს კი ჩვენთვის ოკუპანტებისა და ქართველ ხალხის სულის ამომხდელთათვის, ფრიად მნიშვნელოვანია, რათა საკმარისათ და გარკვევით აწონ დაწონილი იქნეს, თუ ვისთან გვაქვს ჩვენ საქმე ჩვენი ქვეყანას კონტრ რევოლიუციასთან ბრძოლის დროს.

იმავ დამატებაში აწერილია „რუსის ჯარების ხევსურეთში მოძრაობის საშინელებანი“, სადაც (ხევსურეთში) ოკუპანტები ღვავენ პირისაგან მიწისა ხევსურთა სოფლებს, ცარცვავენ ხალხს, ხოცავენ, ძალადობენ მანდილოსანთ და სხვა. და ყოველივე ამ საშინელებათ იომენენ საქართველოს მუშები და გლეხები!

ბ ნ ჟორდანიებისთვის „ფაქტებია“ საზღვარ გარეთ ბანდიტები მეამბოხეებათ გამოაცხადონ, მათ მიერ ჩადენ ლი ძარცვა, ხალხის აწიოკება—აღშფოთებულ ხალხის აჯანყებათ!

— აი რის დამტკიცებაც იყო საჭირო. ამ ფაქტებით ბ-ნი ჟორდანია და მისი შაიკა მუხლმოდრეკილი წარსდგებიან პუანკარეს წინაშე და გამოსთხოვენ სამართლიანობის დასაცველათ დახმარებას საქართველოდან ოკუპანტ მოძალადეების განსადევნელათ.

კიდევ ისმება საკითხი—ვ ნ შეყავთ შეცდომაში ადგილობრივ მენშევიკებს ამ გვარი „უზადლო სწორი იმფორმაციით“. საქართველოს მუშებისა და გლეხების შეცდომაში შეყვანა ძნელია. ვინაიდან ადგილობრივათ ფაქტები ადვილი შესამოწმებელია როგორც ვიცით სვანეთის მაგალითიდან, რომელიც მენშევიკების ფანტაზიამ კარგა ხანია ამოშალა საქართველოს ზედაპირიდან მაშ, ვისი შეყვანა სურთ შეცდომაში?—თავიანთ თავის?—არა! მათ მშვენივრათ უწყიან თუ როგორია ფაქტები. პარიზში [illegible] გამოფლებული და მოტყუებული რჩება მხოლოდ დემოკრატიული საქართველოს გადახვეწილი მთავრობა და ისინი, რომელთაც საზღვარ გარეთ უკანასკნელნი აფუყილებენ.

მაგრამ ეს არც იმდენათ მნიშვნელოვანია!

რას მიაღწიეს ამით მენშევიკებმა? მიაღწიეს ამას რომ ჩვენ თავი მოუყარეთ დიდძალ მასალას, რომელიც ააშკარავებს არა თუ თანაგრძნობას, არამედ გაერთიანებულ კონტრ-რევოლიუციის უშუალო თანამშრომლობას თავად ჩოლოყაშვილის და მენშევიკ-კრიცაშვილი გოგუაძეებს ბანდიტურ მოძრაობაში.

დე, იცოდენ ამ ვაჟბატონებმა, რომ საქ. საგან. კომისია მტკიცეთ სდგას რევოლიუციისა და მშრომელთა სადარაჯოზე და ცეცხლის ცოცხით ალგვის ყოველ გვარ ლეშს.

სამაზრო აღმასკომების აპარატის რეორგანიზაცია და შრომის საკითხი *)

(ცენტ. აღმ. კომიტეტის სესიაზე წამოყენებულ პროექტის შესახებ)

ცენტ. აღმ. კომიტეტის სესიაზე წამოყენებულია შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ პროექტი „თემის და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“. თუმცა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ საკითხის შესახებ ბევრი ითქვა, მაგრამ, საკმაოდ მისი გაშუქება და ყველა საჭირო კითხვების ამოწურვა ვერ მოხერხდა. მეორე მხრივ კამათიც უნაყოფოდ დარჩა და არავითარი გავლენა პროექტზე არ იქონია. ამისათვის ერთხელ კიდევ დაუბრუნდები მას და უმთავრესად შევეხები პროექტის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია შრომის ორგანოების შესახებ. ის აუცილებელია, ვინაიდან შინაგან საქმეთა კომისარიატის პროექტი ყირამალა აყენებს შრომის მოწესრიგების საკითხს და აძლევს მას ისეთ ფორმას, რომელიც ახალი და ჯერ კიდევ გაუგონარი ამბავია.

შინაგან საქმეთა კომისარიატი თავის პროექტით—ადგილობრივ შრომის ორგანოებს—სამაზრო შრომის განყოფილებებს, უერთებს შინაგან მმართველობის განყოფილებებს ქვეგანყოფილების სახით, სწორეთ რომ ვსთქვათ, შინაგან მმართველობის განყოფილებაში დარჩება ერთი ტეხნიკური მომუშავე შრომის საკითხებისათვის, რომელიც იმუშავებს შინაგან მმართველობის გამგის (იგივე სამაზრო მილიციის უფროსის) ხელმძღვანელობით. ამის მოტივათ მოყვანილია შემდეგი: 1) ვერც ერთი ორგანო ვერ იმუშავებს უმილიციოთ; 2) შრომის განყოფილების მუშაობას აღმასრულებელი და კონტროლის ხასიათი აქვს; 3) ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია წესრიგის დაცვა (შინაგანი მმართველობა) სამხედრო და საფინანსო საქმეები; 4) არ არსებობს ბევრს ჩვენ მაზრებში ობიექტი შრომის ორგანოების ბრუნვისა; 5) ახალი პროექტით იცვლება არა შინაარსი შრომის ორგანოების მუშაობისა, არამედ მისი შემსრულებელი ორგანიზაცია (შრომის განყოფილებათა მაგიერ—შინაგანი მმართველობა—მილიცია)

აი მთელი რიგი მოტივებისა, რომლითაც ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა კომისარიატი განვიხილოთ თითოეული მათგანი.

„ვერც ერთი ორგანო ვერ იმუშავებს უმილიციოთ“—ეს აზრი, რასაკვირველია, უდავოა ყველასათვის, ვინაიდან მილიცია უშუალო აღმასრულებელია ყველა ადმინისტრატიულ ზომებისა და დავალებებისა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ის ორგანოები, რომლებიც მილიციის საშუალებით ატარებენ ადმინისტრატიულ ზომებს, უნდა მოსპობილ იქნან და მათი მოვალეობა, აასრულოს მილიციამ. რომ ჩვენ ასე მოვიქცეთ, ყველაზე პირველად უნდა მოვსპოთ შინაგან საქმეთა კომისარიატი, როგორც ადმინისტრატიული ორგანო და მის მაგივრად დავტოვოთ მხოლოდ მილიციის სამმართველო.

„ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია წესრიგის დაცვა, სამხედრო და საფინანსო საქმეები“—ასეთი შემცდარი აზრი ჯერ არავის მოუყვანია. მე ვიტყოდი, რომ წესრიგის დაცვა, სამხედრო და საფინანსო საქმე—ეს არის დამხმარე იმ მნიშვნელოვან საქმეებისათვის, რომელიც დასახული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც, მაგალითად, განათლება, მეურნეობის აღორძინება, ყველა მუშების პროფესიონალურ კავშირებში ჩაბმა და მათი მომავალი წესწყობილების—კომუნიზმისათვის მომზადება.

„შრომის განყოფილებები აღმასრულებელ და კონტროლის ხასიათის მუშაობას ატარებენ“—ესეც შემცდარი აზრია, ვინაიდან შრომის ორგანოები იცავენ არა მარტო შრომის კანონებს, არამედ ატარებენ ისეთ მუშაობას, როგორც, მაგალითად, 1) მუშათა საავადმყოფო კასების მოწყობა და დაზღვევის საქმის ჩატარება, 2) დამქირავებელთა და მუშამოსამსახურეთა შორის კონფლიქტების გარჩევა (შრომის სასამართლო), 3) სოფლების შრომის ხარკის წესით (წელიწადში თითოეულზე 6 დღე) სახელმწიფო მნიშვნელობის სამუშაოებზე გამოყვანა (არხები, გზები) და მათი დაცვა, რომ ისინი ნორმაზე ზევით არ იქმნენ გამოყვანილი, 4) ულარიბეს გლეხთა შორის ურთიერ დამხმარე კასების მოწყობა, რათა თავიდან აცილებულ იქმნენ ღარიბ გლეხების დამოკიდებულება მდიდრებისგან.

ლაპარაკი იმაზე, რომ შრომის ორგანოების საზრუნავი ობიექტი არ არსებობს ზოგიერთ მაზრებში ზედმეტია, ვინაიდან შრომის განყოფილების ფუნქციები არ განისაზღვრებიან მარტო მუშა მოსამსახურეთა შრომის დაცვით, არამედ მათ საქმე აქვთ აგრეთვე გლეხობასთანაც (შრომის ხარკი, ულარიბეს გლეხებისათვის დამხმარე კასების მოწყობა). რომ ეს საჭიროა, ამაზე თვით შინაგან საქმეთა კომისარიატს აუარებელი ფაქტები აქვს.

უკანასკნელი არგუმენტი, რომ იცვლება არა შინაარსი შრომის ორგანოების მუშაობისა, არამედ მისი შემსრულებელი ორგანო, არ საჭიროებს საწინააღმდეგო მტკიცებას. ის თითონ ამხილებს თავის უარყოფითი ხასიათს, ვინაიდან მუშაობის შინაარსი დამოკიდებულია თვით მის ჩამტარებელ ორგანიზაციაზე. არავის ფიქრათ არ მოუვა, ჯანმრთელობის კომისარიატის ფუნქცია გადასცეს მილიციას (შინაგან მმართველობას). ესევე ითქმის განათლების საქმეზე და სხვა. თუ ჯანმრთელობის საქმე არ გადაეცა ჯანმრთელობის კომისარიატმა და ან განათლების—განათლების კომისარიატმა—ისე არაფერი არ გამოვა. მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ორგანიზაციასაც. ასევე უნდა ითქვას შრომის საკითხის საქმეზედაც, რომლის მნიშვნელობის შესახებ აქ არაფერს ვიტყვი და ვისაც აინტერესებს წაიკითხოს რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ცირკულიარი ან კიდევ უფრო უკეთესი იქნება, შევიდეს სათანადო შრომის ორგანოებში და თავის თვალით დაინახოს მათი მუშაობის შინაარსი. ვიტყვი, მხოლოდ, რომ შრომის ორგანოების ხიმტკიცეზე დაკავშირებულია პროფესიონალურ მოძრაობის ზრდა და განვითარება. შრომის მოწესრიგების საკითხი არც ისეთი უმნიშვნელოა, რომ ის გადაეცეს მილიციას.

ერთი ცხადია, რომ პროექტის ავტორს ბუნდოვანად ესმის შრომის საკითხის მოწესრიგება, რასაც ამტკიცებს თვით პროექტის 12 პუნქტი, სადაც ჩამოთვლილია შრომის ორგანოების ფუნქციები. ნამდვილად კი, არც ერთი იქ მოყვანილი ფუნქცია შრომის კომისარიატს არა აქვს.

დავამთავრებ პროექტის ავტორის სიტყვებით, რომ ყოველგვარი განმარტება უნდა ჩატარდეს „არა საქმის გაფუჭებით, არამედ საქმის მოგებით“.

ს. გოდაბრელიძე.

*) სადისკუსიოა.

რევოლიუციონური მოძრაობა აჭარაში

1.

აჭარა—ეს ჩამორჩენილი მხარეა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ამისთვის მისი გასაბჭოება მოხდა განსაკუთრებულ პირობებში.

აჭარის მშრომელი მასა განიცდიდა მრავალ გვარ ავანტიურისტთა ზეგავლენას. აჭარის გასაბჭოებამდე აჭარის მშრომელი მასა სულს ლაფავდა ბეგების და აღების უღლის ქვეშ. ცხენით მიმავალ აჭარელს, თუ კი გზაში შეხვდებოდა რომელიმე ბეგი ის უსათუოდ უნდა წინასწარ ჩამომხტარიყო ცხენიდან და დიდის მოწიწებით აჭარული სალამით უნდა მიგებებოდა ბეგს. მშრომელ გლეხ-კაცს არ ქონდა ცოლის შერთვის უფლება, თუ ბეგი ამისი თანახმა არ იქნებოდა. ინგლისელების ბათომში ყოფნის დროს აჭარაში მოქმედებდა „სედაი მილეთის“ პარტია, რომელიც მტრულად იყო განწყობილი საქართველოს მენშევიკურ მთავრობის მიმართ.

აჭარის მშრომელმა გლეხკაცობამ ბევრი აწიოკება და ჭირ-ვარამი იგემა „სედაი მილეთლების“ წყალობით. „სედაი მილეთლების“ მოწინააღმდეგე მხარს უჭერდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას და აჭარა ქონდათ წარმოდგენილი, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

აჭარის გასაბჭოება მოხდა იმ დროს როდესაც იქ სუფევდა პატრიარქალურ ტრადიციული ზნე ჩვეულება, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი. ამისათვის საჭირო იყო პირველად ყოვლისა აჭარაში ფეოდალური ნაშთების აღმოფხვრა და აჭარის მშრომელი მასის განთავისუფლება ბეგ-აღების ბატონობისაგან, რომლებიც მენშევიკების ბატონობის ჟამს თავისუფლად დათარეშობდენ აჭარაში.

აჭარის გასაბჭოებამდე აქ ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ მენშევიკები და სხვა და სხვა ჯურის პროვოკატორები. ისინი უქადაგებდნენ აჭარლებს: „აი მოვლიან ბოლშევიკები, მეჩეთებს დაგინგრევენ, თქვენ ქალებს ჩადრს ახდიან რჯული და სხვა ასეთები არაფერი არ სწამთ.“

იმ დროს, როდესაც წითელი ჯარი მოილტვოდა ბათომის ოლქისაკენ—დ. ხულო—ქედას მიმართულებით ზოგი მცხოვრები შეიმალა აჭარის მთებში და ტყეებში.

როდესაც აჭარლებმა დაინახეს, რომ წითელი ჯარი არავითარ პროვოკატორების მიერ ნაამბობს არ შვრება დარწმუნდენ მართლაც რომ ნამდვილი განმანთავისუფლებელი წითელი ჯარი ყოფილა. წითელი ჯარი პირიქით მოერიდებით ეპყრობიან მცხოვრებლებს და ასე ამ რიგათ პროვოკატორების მიერ შეთხზული ჭორები დარჩა მხოლოთ ლიტონ სიტყვებათ.

ა. მაქაცარია.

შაბათს 29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე
ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში
გაიმართება
ქალაქ ტფილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი
სხდომა

დღის წესრიგი: 1) ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წლის მეორე ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება, 2) კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ, 3) მიმდინარე საქმეები.

ყველა წევრთა თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

(359—1—1) მდივანი **ხუნდაძე.**

დომბალის საქმე

გაზ. „რეჩ პოსპოლიტა“ ათავსებს დომბალის საქმის შესახებ გამოტანილ განაჩენის ამონაწერს:

განაჩენი 22 გვერდს შეიცავს. საქმის ვრცელი ისტორიის მოთხობის შემდეგ საოლქო სასამართლო გადადის განაჩენის დასაბუთებაზე და აღიარებს: **სეიმში კომუნისტური ფრაქციის შედგენისათვის და სხვა ყოველგვარ მოღვაწეობისათვის, როგორც სეიმში, ისე სეიმის გარეშე, თუ ეს მოქმედება გამომდინარეობს სეიმს წევრის მანდატიდან, სეიმის არც ერთი წევრი არ შეიძლება იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში,** და ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი სეიმში კომუნისტური ფრაქციის არსებობის ლეგალობის თუ არა ლეგალების შესახებ. ბრალდებულის დომბალის განცხადება იმის შესახებ, რომ სეიმში კომუნისტური პარტია სავსებით ლეგალურად არსებობდაო, მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას. სეიმის გარეშე კომუნისტური ფრაქცია არ არსებობს და მიტინგებზე სიტყვის წარმოთქმისათვის და ყოველგვარ სხვა მოქმედებისათვის პროპაგანდის მიზნით, სეიმის წევრი პასუხისმგებელია ყველა მოქალაქეებთან თანასწორად და მას არ შეუძლია მოიფაროს სეიმის წევრობას ისარგებლოს ხელშეუხებლობით, და დაეყრდნოს იმაზე, რომ მიტინგზე ის გამოდის, როგორც სეიმის დეპუტატი და სეიმის კომუნისტური ფრაქციის წევრი.

იმის გამო, რომ ხსენებული დომბალი თავის თავს კომუნისტად სთვლის, უწოდებს ლენინს ძლევა-მოსილ რევოლიუციის ბელადს და ემყარება 1847 წლის კომუნისტურ მანიფესტს, რომელიც ამტკიცებს, რომ კომუნისტების უახლოეს ამოცანას შეადგენს პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, კერძო საკუთრების მოსპობა, იმის გამო, რომ ბრალდებული დომბალი არავითარ ღალატს არ სცნობს, გარდა პროლეტარიატის ინტერესების ღალატისა, რაც სავსებით შეეფერება კომუნისტურ მანიფესტს, რომ მუშებს არ აქვთ სამშობლო, შემდეგ იმის გამო, რომ შკოლის მოწაფეთა მიტინგზე დომბალმა განაცხადა, რომ მუშებს და პოლონეთის ინტელიგენციას არ აქვს საშუალება შეიძინოს ნამდვილი სწავლა განათლება და მხოლოდ არსებული წესწყობილების შეცვლით შეიძლება გახდეს სწავლა-განათლება ყველასათვის მისაწდომი. შეეცადა რა ყველა იქ დამსწრეთათვის მოეხვია თავზე ეს აზრი და მოუწოდებდა მათ გამოეყვანათ სათანადო დასკვნა არსებულ სახელმწიფო წესწყობილების თანამედროვე მდგომარეობიდან. დაბოლოს სასამართლოს გამოძიებაზე მიცემულ ჩვენებიდან ნათლად სჩანს, რომ დომბალის მოღვაწეობა გამოიხატებოდა მუშათა და გლეხთა მასების სოციალურ რევოლიუციისათვის მომზადებაში და როგორც მან აღიარა თავის მოღვაწეობის მიზნად დაისახა პოლონეთში არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილების დანგრევა. ყველა ამის გამო სასამართლო თავის განაჩენში, ემყარებოდა რა ყოველივე ზემოხსენებულს, ამ კითხვაზე იღებდა თუ არა ბრალდებული დამბალი მონაწილეობას პოლონეთის კომუნისტურ პარტიის უკანონო მოქმედებაშიო იძლევა დადებით პასუხს.

ბრალდებულ დომბალს, რომელიც გამოდიოდა მიტინგებზე და სალამს უგზავნიდა ლენინს, უწოდებდა რა მას ძლევა-მოსილ რევოლიუციის წინამძღოლს ამშვიდებდა მიტინგზე შეკრებილ მუშებს „ნუ გეშინიათ კომუნისტის სახელწოდებისა, ყველას ვერ დაგამწყვდევენ ციხეში, რადგან ადგილებიც არ ეყოფათო“,—რა თქმა უნდა ასეთ ადამიანს პოლონეთის კომუნისტური პარტია არ დატოვებდა პარტიის გარეშე და ამიტომ სავსებით დამტკიცებულად ითვლება, რომ გამოდიოდა რა მიტინგებზე დომბალი მოქმედებდა კომუნისტურ პარტიასთან შეთანხმებით. შემდეგ თავის განაჩენში საოლქო სასამართლო დიდ ადგილს უთმობს იურიდიულ საკითხებს და განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის წარმოებას. ემყარება რა დაკითხულ მოწმეთა ჩვენებას, სასამართლო ფიქრობს, რომ ზოგიერთი მათგანი (პომიკალსკი, დობროვოლსკი, მალინოვსკი, ნოვაჩინსკი და სხვ.) ლაპარაკობდენ ისეთ ფაქტებზე, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბრალდებასთან. სხვა მოწმეთა ჩვენებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი მათგანი რაღაც მორალურ იძულების ზეგავლენით დომბალის მიერ მიტინგებზე წარმოთქმულ სიტყვებს ჩვეულებრივ ხასიათს აძლევდენ და მოწმეთა უკანასკნელ კატეგორიას სასამართლო აკუთვნებს მოწმეს ვოზნიცკის (სეიმის „განთავისუფლების“ ფრაქციის წევრია), რომლის ჩვენებამ თეატრის მოედანზე გამართულ მიტინგის შესახებ, სასამართლოს შემადგენლობაზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ეს ჩვენება სინამდვილესთან შეუფერებლად ჩასთვალეს.

თუ დაუპირდაპირებთ, სასამართლოს აზრით, თვით დომბალის განმარტებას მოწამე ვოზნიცკის ჩვენებას, მაშინ აღმოჩნდება, რომ თვით დომბალს მოჰყავს უფრო მეტი გამომამჟღავნებელი ფაქტები ვიდრე მოწამეს.

გარდა ამისა წინააღმდეგობა მის ჩვენებისა და იმის შორის რასაც ადგილი ქონდა მიტინგზე ნათლად მტკიცდება მოწამე ვოზნიცკის და მიკლაშევსკის ჩვენებათა დაპირდაპირების დროს.

უკანასკნელი არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის და იმის ჩვენებას სასამართლოს აზრით, აქვს საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს ჩვენება იყო მართალი და გულწრფელი, ე. ი. მას აქვს ისეთი ღირსება, რომლის აღნუსხვა განაჩენში არ არის მოსაჩერჩეზელი, მაგრამ გამომდინარეობს სასამართლოს პირადი დაკვირვებებიდან.

საოლქო სასამართლო ამტკიცებს, რომ მოწამე მიკლაშევსკის ჩვენება სრულიად აბათილებს მოწმე ვოზნიცკის ჩვენებას. სასამართლო ღრმადაა დარწმუნებული, რომ სწორ ჩვენებებს იძლეოდა მხოლოდ მოწამე მიკლაშევსკი. გადადის რა სასჯელის საკითხზე, საოლქო სასამართლო ფიქრობს რომ სასჯელის ზომის არჩევის დროს უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული სახელმწიფოებრიობის მძიმე, გარდამავალი ხანა, პოლონეთის კომუნისტური პარტიის მისწრაფებათა საშიშროების ხარისხი, იმ პარტიის, რომლის მოღვაწეობა მიმართულია თვით პოლონეთის რესპუბლიკის არსებობის დამხობისაკენ, საშიშროება, რომელიც მით უფრო სერიოზულია, რომ ომის შემდეგ შექმნილ მძიმე პირობებში ფართო წრეები ეკონომიურ კრიზისის ზეგავლენით ძალიან ადვილად ემხრობიან ყოველგვარ ძალდატანებით მოქმედებას და გადატრიალებას. ეს დაადასტურა ბრალდებულმა დომბალმაც თავის განმარტებებში, რომელმაც განაცხადა, რომ „საჭიროა მცირეოდენი სამხედრო და შინაური შერყევა, რომ მშრომელმა ხალხმა გამოაცხადოს ახალი სოციალისტური წესწყობილება და პოლონეთის საბჭოთა რესპუბლიკა დადგეს იმ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების გვერდით რომელთანაც დაკავშირებულია მშრომელთა ინტერესები“. მთელი თავისი მოღვაწეობით დომბალი სცდილობდა გამოეწვია სწორედ ასეთი შერყევა და ემსახურებოდა ამ მიზანს, ბოროტად იყენებდა რა თავის ხელშეუხებლობას, და სეიმის წევრობას. მიტინგებზე დომბალი არა თუ ემყარებოდა თავის ხელშეუხებლობას არამედ თავის მსმენელებსაც არწმუნებდა, რომ ისინიც, ვინც მისი მიდრეკილობის ქვეშ იმყოფებიან, აგრეთვე სარგებლობენ ამ ხელშეუხებლობით. ამის გამო დომბალისათვის უნდა მისჯილი ყოფილიყო სასჯელის უმაღლესი ზომა—8 წლის ციხეში დაპატიმრება იძულებითი სამუშაოთი. მაგრამ იღებს რა მხედველობაში, სუბიექტიურ მხარეებს, და სახელდობრ იმის, რომ ბრალდებული დომბალი, იყო ფიცხი ტემპერამენტის ადამიანი, მოკლებული იყო იმ შინაგან წონასწორობას, რომელიც მუშავდება მხოლოდ თვით აღზრდით, მეორეს მხრივ იმას, რომ ბრალდებული შეცდომაში იყო შეყვანილი იმ ხელშეუხებლობის და უფლების საკითხში, რომელიც გამომდინარეობდა სეიმის წევრობის სახელწოდებიდან, ფიქრობდა რა რომ მას აქვს უფლება დაამხოს პოლონეთში არსებული წესწყობილება რევოლიუციონური შერყევისაკენ და სახელმწიფოს ძირითადი კანონების დარღვევისაკენ მოწოდებით, მიიღო რა ყველაფერი ეს მხედველობაში საოლქო სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულ დომბალს 6 წლის იძულებითი სამუშაო ციხეში დაპატიმრებით და ყველა მისი უფლების ჩამორთმევით.

ხოლო რაც შეეხება იმ ბრალდებაში, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 122 მუხლით, სასამართლომ ჩასთვალა გამართლებულად.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ინგლისი ემზადება

ჰანოვერი, 27 სექტ. ინგლისის წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში იტყობინება, რომ ომის საშიშროება თითქმის სრულიად აცილებულია თავიდან. ინგლისის სამხედრო შედგომარეობა ჩანაკში დაიზმიდში საკმაოდ ძლიერია ყოველგვარ კონფლიქტების ასაცილებლად და ამის გარდა ინგლისელები დახმარებას ღებულობენ.

მოუთმენლად ელოდებიან

ჰანოვერი. 27 სექტ. პარიზში და ლონდონში მოუთმენლად ელიან ენვერ ფაშის საპასუხო ნოტას დაიმედებული არიან, რომ ნოტა იქნება ხელსაყრელი და საკითხის კონფერენციის საშუალებით გადაწყვეტას შესაძლებლად გახდის.

გენერალ გარინგტონის განცხადება

რომი. 27 სექტემბერი. გენერალ გარინგტონმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქემალ-ფაშა დაუყოვნებლივ არ შეასრულებს მოთხოვნილებას უკან დახევის შესახებ მაშინ ის—გარინგტონი—ყოველ გვარ პასუხისმგებლობაზე უარს ამბობს.

საბერძნეთის ნაციონალური კრების მოწვევა

რომი. 27 სექტემბერი. პირველ ოქტომბერს მოწვეულ იქნება ათინაში საბერძნეთის ნაციონალური კრება სამინისტროს კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

ქემალისადმი მოკავშირეთა ნოტის შესახებ.

მოსკოვი. 28 სექტემბერი. ქემალისადმი მიმართულ მოკავშირეთა ნოტამ ინგლისის და საფრანგეთის პრესამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

თითქმის საფრანგეთის წრეებიც სთვლიან, რომ ანგორამ მიიღო მოლოდინზე მეტი.

— ეხება რა ანტანტის ნოტას, გაზეთი „ენი-გიუნ“ წინააღმდეგია მოკავშირეთა პირობების მიღების. „მოკავშირეთ სურთ სწერს გაზეთი—შეაჩერონ ჩვენი არმიის წინმსვლელობა ლითონი ფრაზებით. მოკავშირეებს უნდათ სტამბოლის და სრუტეების დაკავებით გვიკარნახონ მძიმე საზავო პირობები. მოკავშირეებმა უნდა უარყონ ესეთი ფიქრები.

მცირე ანტანტა

მოსკოვი. 28 სექტემბერი. ოსმალეთისათვის თრაკიის და ადრიანოპოლის გადაცემის შესაძლებლობის ცნობამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სამხრეთ სლავიაში.

კონფერენცია და რუსეთი.

მოსკოვი. 28 სექტ. „დეილ-მეილი“ იზიარებს ქემალის აზრს რუსეთის კონფერენციაზე აუცილებლად მოწვევის შესახებ.

ინლისის პრესის აზრით, საკითხი რუსეთის კონფერენციაზე მოწვევის შესახებ აღელვებს ლონდონსა და პარიზს. „დეილი გერალდი“ და „დეილი ნიუს“ აღნიშნავენ, რომ კონფერენცია ურუსეთოდ—უაზრობაა.

— მოკავშირეთა წრეებში ცხილავენ მისაღებ ზომებს იმ შემთხვევისათვის, თუ ანტანტა მტკიცედ დაიცავს თავის მოთხოვნილებას რუსეთის მოწვევის შესახებ. რუსეთის მოწვევას ექნებოდა საბჭოთა მთავრობის ფორმალური ცნობის ხასიათი, რაც გამოიწვევდა საფრანგეთის ოპოზიციას.

— ინგლისის მთავრობის პრესა გახურებულია რუსეთის კონფერენციაზე მოწვევის საკითხის შესახებ.

ინგლისელები სტოვებენ სტამბოლს.

მოსკოვი. 28 სექტ. ცნობილი ოსმალები—ინგლისის მომხრენი სტოვებენ სტამბოლს და გადიან ბალტის კუნძულზე. ასე მოიქცნენ რამდენიმე წევრი მეფეთა გვარეულობისა.

კონფერენციის ადგილის შესახებ.

მოსკოვი. 28 სექტ. ქემალი მოითხოვს კონფერენციის მოწვევას მცირე აზიაში, ვინაიდან მას მთავარსარდლის მოვალეობანი არ აძლევენ საშუალებას დასტოვოს ჯარი.

სტამბოლის შესახებ.

მოსკოვი. 28 სექტ. მოკავშირეთა მთავარსარდლის ცოლი და ინგლისის ოფიცრების ცოლები სტოვებენ სტამბოლს.

ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციის გარშემო

ქემალ-ფაშის მოთხოვნილებანი.

ნაუენი. 28 სექტ. „დეილი ხრონიკლის“ ცნობით ქემალ ფაშა ალბად უარს იტყვის მოკავშირეთა წინადადებებზე ვენეციაში კონფერენციის მოწვევის შესახებ. ქემალ ფაშას სურს რომ კონფერენციაში და სრუტეების საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს აგრეთვე რუსეთმა.

კონფერენცია მუდანიაში.

ჰაონოვერი. 28 სექტ. „ტაიმსი“ს ცნობით მოკავშირეთა კომისარებმა კონსტანტინოპოლში გადასწყვიტეს, თუ ქემალ ფაშა თანახმა იქნება დროებით ზავზე,—ზავის შესახებ მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს მუდანიაში.

კონფერენცია.

ჰანოვერი. 28 სექტემბერი. ლონდონის ოფიციალურ წრეებს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვთ, თუ რუსეთი მონაწილეობას მიიღებს ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე.

რუსეთის ნოტა

ნაუენი, 28 სექტ. საბჭოთა მთავრობის ნოტაში, რომელიც გამგზავრა ინგლისს, აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს ევროპიულ სახელმწიფოთა მიერ რუსეთის უფლებების უზურპაციის მიერ ახლო-აღმოსავლეთის საკითხში. საბჭოთა მთავრობა არ ცნობს არც ერთ დადგენილებას, რომელიც მიღებული იქნება რუსეთის უკრაინის და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ, რომელნიც ოსმალეთის შემდეგ ყველაზე უფრო დაინტერესებულნი არიან სრუტეების თავისუფლებაში. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაუყონებლივ მოწვეულ იქნას კონფერენცია ყველა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებისაგან კონფლიქტის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

ინგლისი და რუსეთი.

ნაუენი, 28 სექტ. „ტაიმს“ ცნობით ინგლისის ოფიციალური წრეები პროტესტს არ განაცხადებენ რუსეთის მოწვევის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე.

კონსტანტინეპოლში.

ნაუენი, 28 სექტემბ. ქემალ-ფაშას განძრახული აქვს დანიშნოს მამიდ-ბეი დიდ ვეზირად კონსტანტინეპოლში, თუ ანგორის მთავრობამ გაიმარჯვა კონსტანტინოპოლში, სულთანის გადადგომა აუცილებელია. სულთანის მოადგილედ ასახელებენ პრინც სელიმს.

ოსმალეთის სატახტო ქალაქი.

ნაუენი. 28 სექტ. „კურიერ დელა სერა“-ს ცნობით ქემალ-ფაშის მთავრობამ რეზიდენციის დროებით ადგილათ აირჩია კონიო, ტახტის რეზიდენციის საბოლოოდ კონსტანტინეპოლში გადატანამდე.

ამერიკა და სრუტეები.

ნაუენი, 28 სექტ. სტატს სეკრეტარ ხიუზმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა ემხრობა სრუტეების თავისუფლების შენარჩუნებას და მცირე აზიაში უმცირესობათა ინტერესების დაცვას.

ჰანოვერი, 28 სექტ. სტატს სეკრეტარ ხიუზმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა თავის თავს დაინტერესებულად სთვლის სრუტეების თავისუფლების შენარჩუნებაში და უმცირესობათა ნაციონალურ და რელიგიურ ინტერესების დაცვაში.

ჰანოვერი, 28 სექტემბ. ამერიკის კრეისერი „ჰეტსბურგი“ გაიგზავნა დარდანელში.

სამხედრო მოქმედება

ოსმალეთის კავალერიის წინსვლა.

ჰანოვერი. 28 სექტ. რეიტერის ცნობით ოსმალეთის კავალერიის კიდევ ერთი ნაწილი შევიდა ნეიტრალურ ზონაში.

ნაუენი 28 სექტ რეიტერის სააგენტო იტყობინება კონსტანტინოპოლიდან, რომ ახალი ოსმალეთის კავალერიის ნაწილი გადავიდა ნეიტრალურ ზონაში ვიგხის მახლობლად.

ფრაკიის საკითხი.

მოსკოვი. 28 სექ. ქემალმა უარყო წინადადება ფრაკიის დროებით საფრანგეთზე გადაცემის შესახებ და მოითხოვს ფრაკიის დაუყონებლივ ოკუპაციას ოსმალეთის ჯარების მიერ.

ნეიტრალურ ზონაში.

მოსკოვი. 28 სექტ. ოსმალეთის კავალერია, რომელმაც გუშინ დაიხია ნეიტრალურ ზონიდან, დღეს ისევ შეიჭრა შიგ დამხმარე ძალებით. გერინგტონმა მოითხოვა ჯარების უკან გაყვანა 48 საათში.

ინგლისის ჯარების გაძლიერება.

ნაუენი, 28 სექტ. დიდ სამგზავრო გემმა „იმპრესსო ინდიო“-მ წამოიყვანა ინგლისის ჯარები ახლო აღმოსავლეთში მყოფ ჯარების გასაძლიერებლად, ინგლისის მთავრობამ რეკვიზიცია უყო გემებს— „მანორა“ და „კორსიკენ“-ს იმავე მიზნით.

კაირის საარტილერიო გარნიზონიდან ორი ბატარეა და იზმაილიდან მე-7-ე საარტილერიო ბრიგადა გაემართნენ ჩანაკისაკენ.

გენერალ გარინგტონის კადნიერება

ბორდო. 28 სექტემბერი. საბერძნეთის რაზმი 2000 კაცი განაგრძობს სერენკვის ოკუპაციას.

მეორე 1000 კაცისაგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი შეიჭრა ნეიტრალურ ზონის ჩრდილოეთის ნაწილში და დაიკავა სოფ. გიკზი. დილით გარინგტონმა ინახულა ანგორის წარმომადგენელი გამიდ-ბეი და კადნიერად მოახსენა, რომ უმჯობესი იყო გამიდბეისთვის, თუ რომ ოსმალეთის ჯარები სასწრაფოდ მოახდენდენ ნეიტრალურ ზონის ევაკუაციას. გამიდ-ბეი—შეპირდა დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ოსმალეთის არმიის მთავარ შტაბს.

ფარისევლობა

ბორდო. 28 სექტემბერი. საბერძნეთის კრეისერი „ავეროვი“ გაწვეულია კონსტანტინეპოლიდან საფრანგეთის წარმომადგენლის მოთხოვნით. ვინაიდან უხერხულად მიაჩნიათ, რომ საბერძნეთის საახედრო გემი იდგეს კონსტანტინეპოლში ოსმალეთის ზღვაში, საბერძნეთის 2 ნაღმოსანი გემი დროებით დატოვეს კონსტანტინოპოლის რეიდში საბერძნეთის საჭიროებისათვის.

სტამბოლი

ოსმალეთის წინსვლა

ჰანოვერი. 28 სექტემბერი. ოსმალეთის ჯარის ნაწილებს ახალმა წინსვლამ ნეიტრალურ ზონაში ძლიერ შეაშფოთა ლონდონის და პარიზის მთავრობის წრეები. პარიზის წრეებში ამტკიცებენ, რომ ოსმალეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს დარდანელის აზიის ნაპირი, მაგრამ საფრანგეთ-ინგლისის უკანასკნელ ცნობებით ეს ცნობები არ მართლდება, ვინაიდან როგორც იტყობინებიან ლონდონიდან ოსმალეთის ჯარის ნაწილებმა ქემალ-ფაშას ბრძანებით დასცალეს ნეიტრალური ზონა.

რევოლიუციონური მოძრაობა საბერძნეთში.

ნაუენი 28 სექტ. რეიტერის სააგენტო იუწყება საბერძნეთიდან, რომ საბერძნეთში დაიწყო სერიოზული რევოლიუციონური მოძრაობა. რევოლიუციონერები მოითხოვენ მეფე კონსტანტინეს გადადგომას, რომელმაც, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ტახტზე უკვე უარი განაცხადა. ჰავასის სააგენტოს ცნობით საბერძნეთის კაბინეთი გადადგა. რევოლიუციონური მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერია მიტილენეში, სალონიკში და ლარიმში. მოძრაობაში იღებს მონაწილეობას ჯარი და ფლოტი.

კონსტანტინეს გადადგომის შესახებ.

კროიდონი 28 სექტემ. ლონდონში ავტორიტეტული წყაროები ადასტურებენ კონსტანტინეს გადადგომის ცნობას.

მინისტრების დატუსაღება.

ჰანოვერი. 28 სექტ. სოფიიდან იტყობინებიან, რომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა დაატუსაღოს ყოფილი მინისტრები დანევი, მალინოვი და გეშოვი და კონფისკაცია გაუკეთდეს მათ ქონებას მთავრობის სასარგებლოდ.

საბერძნეთში.

ბორდო. 28 სექტ. რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც დაიწყო მიტილენის და ხიოსის ჯარებში და ფლოტზე, გავრცელდა სალონიკშიაც, სადაც გენერალმა კუტისისმა მოახერხა გადაეყვანა გარნიზონი აჯანყებულთა მხარეზე. ქალაქში დღემდის სიმშვიდეა. ხიოსის მოძრაობის ხელმძღვანელობა იკისრა გენერალ პლატსირასმა. ფლოტიც, როგორც სჩანს, აჯანყებულებს დაუჭერს მხარს და გაილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ. ორი სამხედრო გემი „სილკასი“ და „ლემნოსი“ 9 ტრანსპორტი და ჰიდრო-ჰაეროპლანი შეუერთდა აჯანყებულებს. აჯანყებულ ჯარების კორპუსი გადავიდა სუნიუმის კონცხზე. გენერალ პაპულოსი შეეცადა შეეჩერებია მოძრაობა მისი წინამძღოლთა მოლაპარაკებით.

ათინაში გამეფებულია დიდი მღელვარება და გავრცელდა სენსაციური ხმები. ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. დილით ათინაში ფრინავდა მიტილენის ჰაეროპლანი და ჰყრიდა პოკლამაციებს, რომელიც ხელმოწერილი იყო პოლკოვნიკ განატასის მიერ. პროკლამაციაში ნათქვამია, რომ მიტილენის არმიამ და ფლოტმა მიანდვეს განაცოსს ჩამოაყალიბოს შემდეგი მოთხოვნილებანი, რომელსაც საპირობს სამშობლო: 1) მეფის გადადგომა მემკვიდრეს სასარგებლოდ, 2) ნაციონალურ ყრილობის დაუყონებელი გაშვება, 3) ისეთი კაბინეტის შედგენა, რომელსაც არ ექნება პოლიტიკური ელფერი და ექნება ანტანტის ნდობა,—რომელმაც უნდა აწარმოვოს მუშაობა მომავალ არჩევნებისათვის, სადაც ხალხი გამოსთქვამს თავის ნებისყოფას, 4) ფრაკიაში დამხმარე ჯარების გაგზავნა. პოლკოვნიკი განაცოსი გამოჩენილი ოფიცერია, არის 2 დივიზიის სარდალი. მოძრაობა ვრცელდება მთელ საბერძნეთში.

სასურსათო გადასახადის აკრეფა

ახალქალაქის მაზრა: სექტემბრის 17-დან 23 მდე შეგროვილია: ხორბალი—1243 ფ., ქერი—1518 ფუთი, ქვავი—865 ფ., ცხვარი—560 ფუთი, ფულად—16.955.000 მან. და სხვა.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამ მაზრას გადასახადი 4 000 ფუთით შეუმცირდა.

ახალციხის მაზრა. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, ახალციხის მაზრას საურსათო გადასახადი შეუმცირონ 5.000 ფუთით.

საბერძნეთის ამბები და მოკავშირეები.

ბორდო. კონსტანტინეს გადადგომის ცნობას პარიზში არავითარი გაკვირვება არ გამოუწვევია.

საბერძნეთის რევოლიუცია ვერ გამოიწვევს ვერავითარ ცვლილებას მოკავშირეების პოლიტიკაში ოსმალეთის მიმართ, თუ ოსმალეთი არ გაუტეხს თავის თავს სახელს სრუტეების ევროპის ნაპირზე სამხედრო მოქმედების გაგრძელებით, უკანასკნელს შეუძლია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შედეგები მოლაპარაკების წარმოებისათვის.

მოძრაობა ფართოვდება.

ჰანოვერი. 28 სექტემბერი. 27 სექტემბერს, საბერძნეთის კაბინეტი, ჰავასის სააგენტოს ცნობით, გადადგა.

ჰანოვერი. 28 სექტემბერი. **რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლორისში, მეტილენში და სალონიკაში იფეთქა რევოლიუციონურმა აჯანყებამ, ჯარის ნაწილებისა და ფლოტის მონაწილეობით.**

ჰანოვერი. 28 სექტემბერი. **პარიზის უკანასკნელი ცნობების მიხედვით, კონსტანტინე მეფე გადადგა ტახტიდან თავის მემკვიდრეს სასარგებლოდ.**

პანიკა სტამბოლში.

ჰანოვერი. 28 სექტემბერი. „დეილი ხრონიკლის“ ცნობებით, სტამბოლში მთავრობის წრეებში სუფევს პანიკა. სულთანი აღელვებულია თავის მინისტრების გადადგომით და ეშინია გადაყენების. კანდიდატათ სულთანის ტახტზე ითვლება პრინცი სელიმი. ამბობენ, რომ ქემალ-ფაშას განზრახვა აქვს დანიშნოს დიდ ვეზირად გამიდ-ბეი.

ოსმალეთის პასუხი,

ჰანოვერი. 28 სექტემბერი. „პტი პარიზენი“-ს ცნობებით, ღამით 27 სექტემბერს მიღებულია პარიზში და ლონდონში ქემალ-ფაშას პასუხი მოკავშირეების კოლექტიურ ნოტაზე. პასუხის შინაარსი ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

ჰანოვერი. „დეილი ხრონიკლი“ გამოსთქვამს შიშს, რომ ქემალ-ფაშას პასუხი არ იქნება ხელსაყრელი. გაზეთის ცნობით, თითქმის ქემალ-ფაშა აცხადებს, რომ ოსმალეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესწყვეტს სამხედრო მოქმედებას, თუ ინგლისი შესწყვეტს დამხმარე ძალების გაგზავნას.

ინგლისის დამხმარე ძალები.

ჰანოვერი. 28 სექტემბერი. **ინგლისი განუწყვეტლივ გზავნის საზღვაო და ხმელეთის სამხედრო ძალებს.**

განზრახულია სასწრაფოდ გაიგზავნოს ლონდონიდან სამი ბატალიონი ქვეითა ჯარი.

ინგლისის ესკადრის შემადგენლობა ახლო-აღმოსავლეთში.

ჰანოვერი 28 სექტემბერი. **ინგლისის ესკადრა ახლო-აღმოსავლეთში შესდგება სამი დრედნოუტისა, 6 მსუბუქი კრეისერისა და 12 გამანადგურებელისაგან: ამის გარდა მალტას კუნძულზე მუდმივ კიდევ სამ დრედნოუტს, ერთ კრეისერს და ერთს გამანადგურებელს.**

ბაჟების გადიდება.

ჰანოვერი. 28 სექტემბერი, გერმანიის რეიხსტაგმა დაადგინა გადიდონ ბაჟები 50 პროცენტ. თამბაქოს ბაჟებს განიხილავენ განსაკუთრებით.

ერთა ლიგა და ავსტრია.

ჰანოვერი. 27 სექტემბერი. ვენაში შიშს გამოსთქვამენ, რომ საკითხი ავსტრიისათვის სესხის მიცემის შესახებ გაგრძელდება ერთა ლიგის გადაწყვეტილებით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტში.

მოსკოვი. 28 სექტ. დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტმა მოისმინა კამენევის მოხსენება სიმშილობის შედეგებთან საბრძოლველად ადგილობრივ ორგანოების ორგანიზაციის შესახებ. მოხსენების თანახმად ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებში, გუბერნიებში და მაზრებში არსდება პასუხისმგებელი სამეულები შიმშილობის შედეგებთან საბრძოლველად წარმოებულ მუშაობის გაერთიანების მიზნით, შემოწირულებათა ასაკრეფად, ადგილობრივ ინვალიდებისა და უპატრონო ბავშვებისათვის დახმარების გასაწევად და დანგრეულ მეურნეობის აღდგენისათვის ხელის შესაწყობად. ვინოკუროვმა განაცხადა, რომ დამშეულთა დამხმარე ცეკის ლატარიის ბილეთები წარმატებით იყიდება. უკვე გაყიდულია 1 მილ. 600 000 ბილეთი. ლატარიის გათამაშება გადადებულია 15 ნოემბრისათვის.

„ნარპიტის“ ცეკაში

მოსკოვი 28 სექტ. „ნარპიტის“ ცეკას პლენუმს გადაუწყვეტია უარყოს ზოგიერთი სპეცების ტენდენცია მეფობის დროის მონოპოლურ უფლების აღდგენისადმი. პლენუმმა გადასწყვიტა იშუამდგომლოს უმაღლეს სამეურნეო ორგანოების წინაშე ენერგიული ზომების მიღების შესახებ, რათა დაუყონებლივ ბოლო მოეღოს ცდას საზოგადოებრივ გამოკვების დაწესებულებების სიმთვრალის და გარყვნილების ადგილებად გადაქცევას. პლენუმმა დაავალა კავშირის წევრებს შეუდგენ გადამწყვეტ კამპანიას სპირტის სასმელებით ვაჭრობის წინააღმდეგ, და გაატარონ სათანადო დადგენილებები ადგილობრივი საბჭოების დახმარებით.—პლენუმმა შესაძლებლად სცნო დროებით დაუშვას მომხმარებელ კოოპერატივების მიერ რესტორანების და კაფეების ექსპლოატაცია, იმ პირობით, თუ მოსაგები მოხმარდება მუშათა რაიონებში სასადილოების მოწყობას.

სასწრაფო კორესპონდენცია.

მოსკოვი. 28 სექტ. ფოსტა ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა დროებითი ცხრილი მუხლებისა, რომლებითაც წესდება სასწრაფო კორესპონდენციების გადაგზავნა.

რადიო ტელეგრაფი.

მოსკოვი, 28 სექტ. რუსეთის რადიო სპეციალისტები მუშაობენ მიწის და წყლის ქვეშ. რადიო-ტელეგრაფის მოწყობის საკითხის გადასაწყვეტად. ნაყოფიერმა ცდებმა სრულიად უნდა შესცვალოს რადიოსადგურის სახე.

იტალია და რუსეთი

მოსკოვი. 28 სექტემბერი. იტალიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მოსკოვში ამადორიმ ინახულა გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე კარახანი და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი, უკანასკნელ დროს ახლო-აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

პეტროგრადის მრეწველობა.

მოსკოვი. 28 სექტ. მთლიან მუშათა კოოპერატივის საგუბერნიო კონფერენციამ, პეტროგრადის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ მოხსენების შემდეგ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს ამ ბოლო დროს ხსენებული მრეწველობის უეჭველ განვითარებას. სამრეწველო ფრონტზე მოპოვებულ გამარჯვების გასამაგრებლად აუცილებლად იქნა ცნობილი წარმოების შემდეგი კონცენტრაცია.

რ. ს. ფ. ს. რ. და ჰოლანდია.

მოსკოვი. 28 სექტ. ჰოლანდიიდან ჩამოვიდა ინჟინერების და კომერსანტების დელეგაცია რ. ს. ფ. ს. რ. სთან ეკონომიურ დამოკიდებულების დასამყარებლად. ერთ დელეგატთაგანმა აღნიშნა საკვირველი გარდატეხა რუსეთის აღმშენებლობის განვითარებაში. დელეგატი იყო პეტროგრადში ნახევარი წლის წინედ და ამ ქამად აცხადებს, რომ ამ ნახევარი წლის განმავლობაში პეტროგრადი ძლიერ გამოიცვალა.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 28 სექტ. ბელო-ოსტროვსკის ქარხანაზე განახლდა მუშაობა. ახლო მომავალში ამუშავდება წუმწუმის ფაბრიკა ვოლხოვზე.

სასურსათო გადასახადი.

მოსკოვი. 28 სექტ. სასურსათოსახ. კომისარიატის ცნობით ევროპიულ რუსეთში შემოვიდა 20 სექტემბრამდე 64 250 000 ფ. სასურსათო გადასახადი. მთელს საბჭოთა ფედერაციაში შემოვიდა დაახლოვებით 106 მილ. ფუთი.

26 სექტემბერს მთელს საბჭოთა ფედერაციაში გადაეცა ადგილობრივ ორგანიზაციებს 12.090 ფ. ხორბლეული,—დანიშნულის 110 პროც.

— კაიდანის მოსავროვებელ ალაგზე გლეხებმა მოიტანეს სასურსათო გადასახადი წითელი ფლაგებით და ლოზუნგით: „მთელი 100 პროც. ერთო ქვაბში.

— ცარიცინის გუბერნიის ყველა მოსაგროვებელ ალაგებში მუშაობა 24 საათის განმავლობაში სწარმოებს. საწყობები ავსებულია გლეხები სასურსათო გადასახადს ეკყრობიან სერიოზულად და შეგნებულად. ხოპერის ოლქში იყო შემთხვევა დასახულ მიზანის გადაჭარბებისა.

რუსეთ-იაპონიის კონფერენცია

მოსკოვი. 28 სექტემბერი. რუსეთ-იაპონიის კონფერენციის სხდომაზე ამხ. იოფემ გამოაქვეყნა ახლად მიღებული ინსტრუქციები.

ინსტრუქციებში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რუსეთი და შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკა არ დათანხმდებიან იმაზე, რომ ვალდებულება ურთიერთშორის სამხედრო მოქმედებისაგან თავის შეკავებისა არ ვრცელდებოდეს იაპონიაზე. ორივე სახელმწიფოები არ დათანხმდებიან აგრეთვე სახალინის რუსეთის ნაწილის ოკუპაციაზე. ორთავე სახელმწიფოები არ მიიღებენ თავის თავზე ნიკოლაევსკში მომხდარი ამბების პასუხისმგებლობას. ისინი ფიქრობენ, რომ ეს საკითხი და მთელი რიგი სხვა საკითხებისა, რომლებიც შეეხებიან რუსეთის მოქალაქეების დაზარალებულს იაპონიის ოკუპაციისაგან, უნდა გახდეს განხილვის საგანად.

ორივე სახელმწიფოები მოითხოვენ ვადის დაწესებას სახალინის ჩრდილოეთ ნაწილისა და რუსეთის სხვა ტერიტორიის ევაკუაციისათვის.

იაპონიის დელეგაციამ, ნიკოლაევსკში მომხდარ ამბებისა და სახალინის ევაკუაციის შესახებ, მიმართა თავის მთავრობას ინსტრუქციებისათვის.

25 სექტემბრის სხდომა გაიხსნა მაცუდაირის დეკლარაციით. მან აღნიშნა, რომ სანამ საბჭოთა რუსეთისა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს იმის არ ცნობას, რომ სახალინის ოკუპაცია წარმოადგენს გარანტიას ნიკოლაევსკის საკითხის გადაჭრისათვის, იაპონიის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია მოლაპარაკების გაგრძელება.

იოფემ, გაილაშქრა რა მაცუდაირის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა რუსეთის და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგაციები მზად არიან შეთანხმების გზით ხელი გაუწოდონ იაპონიას. იოფემ მიუთითა იმაზედაც, რომ დელეგაციები დაჟინებით არ მოითხოვდნენ ევაკუაციის საკითხის განხილვას, სურდათ რა შეთანხმების მიღწევა და ნამდვილი ზავი შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთის და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკები არ დაუშვებენ, რომ მათი ტერიტორია დაიკავონ უცხოელებმა. ხელშეკრულებას, რომლის შემდეგაც არ იქნება მიღწეული თავისუფლება ოკუპაციისაგან, არ ექნება ღირებულება. რუსეთის ხალხი მიუხედავად მძიმე წარსულისა, არ არის მტრულად განწყობილი იაპონიის ხალხისადმი. თუ შეთანხმება შეუძლებელი იქნება იაპონიის მთავრობის გადაჭარბებულ მოთხოვნილების გამო, მაშინ მოგვიხდება ვიცადოთ მანამდე, სანამ იაპონიის მთავრობას არ აიძულებს იაპონიის ხალხი განახლოს მოლაპარაკება, რომელიც შეეფერება ორთავე ხალხის მეგობრულ გრძნობას.

„ჩვენ იძულებული ვართ, სთქვა იოფემ, განვაცხადოთ, რომ ამ საკითხში ჩვენ არ ვუღალატებთ ჩვენს პოზიციას. ჩვენ მოგვიხდება მივატოვოთ კონფერენცია".

მაცუდაირამ განაცხადა, რომ იაპონიას არ შეუძლია აწარმოვოს მოლაპარაკება ამ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე იმ მთავრობასთან, რომელსაც არ სცნობს ფაქტიურად. ნიკოლაევსკის ამბები უმაგალითოა ისტორიაში. იაპონიამ დაიკავა სახალინის ჩრდილოეთის ნაწილი, როგორც გარანტია.

ამის საპასუხოდ, იოფემ აღნიშნა, რომ ნიკოლაევსკის მსგავს ამბებს ადგილი ჰქონდა იაპონიის ოკუპაციის დროს ბევრ ქალაქებში, რომლებშიდაც იაპონიის ჯარები ხვრეტდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, აწარმოებდნენ ძალადობას, შეუბრალებლობას. იაპონელების განცხადება, რომ მოლაპარაკების ჩაშლის პასუხისმგებლობას ატარებს რუსეთის მხარე—ცარიელი სიტყვაა. რაც შეეხება განხეთქილების მოსალოდნელ შედეგებს, რომელსაც შეეხო მაცუდაირი, რუსეთის ხალხი ფხიზლად მოემზადება ამ შედეგებისათვის.

მოლაპარაკება იაპონიისა და რუსეთის დელეგაციების შორის იმავე დღეს შესწყდა. რუსეთის დელეგაცია გაემგზავრა პეკინში.

რადეკის წერილიდან

მოსკოვი. 38 სექტემბერი. ამხ. რადეკი „პრავდაში" სწერს: „მოლაპარაკება ჩან ჩუნში შეწყდა იაპონიის დანაშაულით, რომელიც განიცდის უდიდეს სოციალურ კრიზისს. მოლაპარაკების ჩაშლა გააღრმავებს უფსკრულს იაპონიის მილიტარისტულ აგრარიების ხროვას პოზიციებზე.

იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობა არ მოითხოვს იმპერიალისტურ პოლიტიკაზე უარის თქმას, ჩინეთისა და რუსეთის მიმართ. საბჭოთა მთავრობა, რომელიც ატარებს მეგობრულ პოლიტიკას ნზად არის სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ გვარ ავანტიურას, რომელიც მოიმართება შორეულ აღმოსავლეთიდან.

ანტანტა და გერმანია

კონტრიბუცია ნატურით

ბერლინი, 28 სექტ. ბემელმანის ხელშეკრულება, გერმანიის კონტრიბუციის ნატურით გადახდევინების შესახებ, რომელიც დადებილი იყო 1922 წელს, ძალაში შედის 15 სექტემბრიდან.

შეთანხმდენ

ჰანოვერი, 28 სექტ გაზ. „ჟურნალ ინდუსტრიელი" იტყობინება, რომ სტინესსა და საფრანგეთის დიდი მრეწველობის წარმომადგენლის ჟიულ-მერნორის შორის რამდენიმე თათბირის შემდეგ მიღწეულია სრული შეთანხმება, რომელიც გატარდება ცხოვრებაში გერმანიის მხვილ მწარმოებელთა საფრანგეთში გამგზავრების დროს.

საკონტრიბუციო კომისიაში

ბერლინი, 28 სექტემბერი. სამშაბათს, დიუშის თავმჯდომარეობით შესდგა საკონტრიბუციო კომისიის სხდომა. ბელგიის დელეგატმა დელაკრუამ გამოაქვეყნა გერმანია ბელგიის შეთანხმების ტექსტი. დელაკრუამ დაუმატა, რომ ბელგიის მთავრობამ მიიღო საპროცენტო გადასახადი 6 თვისათვის. საკონტრიბუციო კომისიამ დაამტკიცა საგადასახადო მოწმობების მიღება როგორიც გადაეცა სამხედრო ვალების კომისიას, რომელმაც თავის მხრივ დაუყონებლივ გადასცა ეს მოწმობები ბელგიის მთავრობის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

დუნაის ინტერნაციონალიზაცია.

ბერლინი. 28 სექტ. ხუთშაბათს დამტკიცდა კანონი, რომელიც იწონებს პარიზის საერთაშორისო კონვენციის დადგენილებას, დუნაის ინტერნაციონალიზაციის სტატუტის შემუშავების შესახებ.

გადატრიალება ხერბიაში.

ჰანოვერი. 28 სექტ. ბელგრადიდან მიღებულ, ჯერ კიდევ არ უარყოფილ ცნობების თანახმად, პრინცი მეორგი არჩეულ იქნა მეფედ, რის გამო ბელგრადში დიდი შეტაკებებია.

სამხრეთი სლავია მზად არის ომისათვის.

ჰანოვერი. 28 სექტ. სამხრეთ სლავიის მთავრობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა აღმოსავლეთის საკითხები და დარწმუნდა, რომ სამხრეთი სლავია მზად არის ომისთვის.

ლორდ გრეის გამგზავრება ბერლინში

ჰანოვერი. 27 სექტემბერი. ლორდ გრეის განზრახული აქვს ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაემგზავროს ბერლინში, გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

ალბანიაში

ბერლინ. 27 სექტემბერი. „ტრიბუნა ტრიესტა" ეს ცნობით, ბეირამ ზურას 2,000 მომხრეები გადავიდენ სამხრეთ ალბანიაში სადაც შეტაკება ჰქონდათ ალბანიის რეგულიარულ ჯარის ნაწილებთან. უკანასკნელებმა უკან დაიხიეს სკუტარისაკენ. ზურას მომხრეებმა დაიკავეს მატელოუ და მიურიდიტიოს რაიონები.

საფრანგეთი

დიუბუას გადადგომა

რომი. 27 სექტემბერი. საფრანგეთის პოლიტიკური წრეები ამოწმებენ, რომ დიუბუას სურს გადადგომა. მის ნაცვლად დაინიშნება ჟონარი.

გერმანიაში

მიწის მუშების გაფიცვა

პოზნანი. მიწის მუშების კავშირის სამმართველომ გამოქვეყნა შემდეგი პროკლამაცია: მემამულეებთან მოლაპარაკებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, უშედეგო გამოდგა აგრეთვე კონფერენცია შრომის მთავარი ინსპექტორის თავმჯდომარეობით, ის, როგორც შრომისა და სოციალური დაზღვევის მინისტრების მონაწილეობით. ყოველივე ამის გამო და სოფლის მუშების კავშირის წევრთა დადგენილების თანახმად ვაცხადებთ გაფიცვას. გაფიცვას უნდა შეუერთდენ ყველა სოფლის მუშები, მიუხედავად იმისა თუ რომელ კავშირს ეკუთვნიან ისინი. ყველა გაფიცულებმა უნდა დაიცონ სასტიკი წესრიგი.

ამხანაგებო. გამოიჩინეთ შეგნებული დამოკიდებულება ჩვენ სამართლიან მოთხოვნის საქმისადმი. დაიცავით დისციპლინა, სოლიდარობა და სრული წესრიგი.

ვაჭრობა გერმანიაში

ბერლინი. 1922 წლის პირველი სემესტრის განმავლობაში გერმანიის იმპორტმა მიაღწია 142 მილიარდ მარკას, ექსპორტმა კი 130 მილიარდ მარკას. საიმპორტო საქონელთა შორის აღნიშნულია თამბაქო 2 ნახ. მილიარდისა, ყავა 1 ნახ. მილიარდისა, ხილი 1 მილიარდი 200 მილიონი მარკისა.

პოლონეთი

კომუნისტების დევნა

ვარშავი. საოლქო სასამართლომ, განიხილა რა გენრიხ როზენკრაპცის და სერგეი ვოროხიჩოვის საქმეები, რომელთაც ბრალი ედებოდათ კომუნისტურ პარტიის წევრობაში, მიუსაჯა როზენკრაპცს 3 წლის ციხე იძულებითი მუშაობით, ვორონოვიჩი, არა საკმაო ბრალდების გამო, გამართლებულ იქნა.

ირლანდიაში

ლონდონის კარნახით.

კროიდონი. 28 სექტ ირლანდიის დროებით პარლამენტში, კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიაში გუშინ დაიწყო მუშაობა. გამოშვებულ იქნა 10 მუხლი, რომლებიც ეფარდებიან ძირითად კანონებს და წარმოადგენენ აუცილებელ საჭიროებას ინგლისთან ხელშეკრულების დასადებად. მუხლები იქნა მიღებული ერთხმად და უკამათოდ.

სილეზიაში

არჩევნები.

ჰანოვერი. 28 სექტ. არჩევნების საბოლოვო შედეგები პოლონეთის ნაწილსა და ზემო სილეზიაში შემდეგი: „კორფანტის ნაციონალურმა ბლოკმა მიიღო 19 ადგილი, გერმანულმა ბლოკმა—11, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიებმა—8 ადგილი, ნაციონალურმა მუშათა პარტიამ—6 ად., გერმანიის სოციალისტებმა—3 ად., და პოლონეთის სახალხო პარტიამ—1 ადგილი.

ძღვნად მე-2 ინტერნაციონალს

ურწმუნოებამ დაგიჭკნო რწმენა,
უიმედობამ ჩაჰკლა იმედი
გრძნობა აბოლდა კაეშნის ღველფში
და გული გაშრა, როგორც აბედი.
ჩაგიტყდა სულის ჩამოსასვენი,
და ვით ბებერი, მოხრილი წელში,
უაზრო სიტყვებს ჩიფჩიფებ ხალხში
და ეხეტები ყავარჯნით ხელში...
უმიზნებ ირგვლივ დაკლაკნილ გველებს,
ჰსერავ და ვერც ერთს ვერ ხვდები თავზე,
აქეთ გიშვერენ შხამიან ისრებს
და იარებიც დაგაჩნდა მკლავზე...

ოფლის მაგივრად სისხლის ნაკადთა
დაგღარეს შუბლი, დაგსერეს მკერდი,
და სწყევლი ყვავილს სიყმაწვილისა,
ნანობ, მის ტრფობას რომ შეაბერდი!..

მთიდგან დაეშვა ღვარი და თქეში,
თალხით მოგიცვა თვალის სიორი
და წინ ოცნება, ფრთა მონაკვეთი,
დაგიჩიავა, როგორც ფუორი...
უმიზნო ლტოლვამ იმსხვერპლა რაში,
კაზმმოუხდელი დაეცა გზაზე
და მზით ატყორცნილ პროტუმბერანტმა
მხრჩოლავი მჭვარტლი გააკრა ცაზე.
თვით განმზადილი მსხვერპლიც გაცივდა,
აღარ აორთქლდა საკურთხეველი
და სინათლისთვის არ სჩანს ნაპრალიც,
შენზე ღიმილის ჩამომთოვლი...
იწვის ქვეყანა, მაგრამ ეს ცეცხლი
შენთვის ურგია და უსინათლო,
და დამნაშავეც არ სჩანს შენს მეტი,
სწორის წესით რომ გავასამართლო...
აღთქმის სამოთხე ჯერ გადასთოშე,
შემდეგ გადასწვი, როგორც სახარე,
და ზღვის გრუხუნში გადაითქვიფა,
შორს რომ დემონმა გადახარხარა...
გადნა, გაიფქვენა, გაიავარდა,
რაც შენს სულს კიდევ ოდნავ შთენია
და სინდისის წინ აცახცახებულს
შენი სიტიტვლის შენვე გრცხვენია!..
და უცდი ასე დღეს განკითხვისა,
თუმცა სათქმელი რა გაქვს პასუხი
და მთელ არსებათ გექცა: „არა რა!.."
მკერდის სიღრმიდგან ამონაქუხი.
წამი ერთი და გადაფეთქდება
დამწვარ ნისლებად სულის პარტახი,
გაჰკრავს ელვა და დაიგრუხუნებს:
„აღსრულდა შენზეც! ახია, ახი!.."

ნ. ზომლეთელი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათომი

ბერძნულ სექციაში.

საოლქო კომიტეტთან არსებულ ბერძნული სექციის მოღვაწეობა აგვისტოს განმავლობაში უმთავრესად მიმართული იყო წრის კულტურულ-განათლებელ მუშაობისაკენ, რომე-

მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობა

(ივლისის თვის მიმოხილვა. შედგენა დამთავრებულია 1922 წ 16 აგვისტ.)

გასულ ივლისის თვის განმავლობაში, მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობას საზღვრავდა სამი უმნიშვნელოვანესი მოვლენა: 1) გაფიცვები სანახშირო მრეწველობაში და რკინის გზებზე შეერთებულ შტატებში, 2) გერმანიის ვალიუტის კურსის დაცემა. 3) მოსავალი, რომელიც ამ თვისათვის უკვე გამორკვეული იყო.

გაფიცვების ტალღამ გააუარესა მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობა, ვინაიდან მან შეაჩერა კარგი კონიუნქტურის განვითარება შეერთებულ შტატებში. გერმანიის ვალიუტის კრიზისი, რომელმაც მეზობელ სახელმწიფოთა ვალიუტის კურსის დაცემაც გამოიწვია, და მოსავალის მდგომარეობა,—გარეშე ევროპისა—კარგი, ევროპაში—არა დამაკმაყოფილებელი,—თავის გავლენას მოახდენს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკას შორის არსებულ ძალთა-განწყობილებაზე ამერიკის სასარგებლოთ.

ამერიკის გაფიცვების ხაერთო ეკონომიური შედეგები. ამერიკის სანახშირო მრეწველობაში კრიზისის ზრდამ გაუცრუა იმედები კაპიტალისტებს. გაფიცვების დასაწყისში იმედი ქონდათ, რომ არსებული მარაგი და აგრეთვე ნახშირი იმ მაღაროებიდან, რომელთა მუშები ცუდი ორგანიზაციისა და დისციპლინის გამო არ მიემხრენ გაფიცულთ,—კმაყოფილი იქნებიან იმისათვის, რომ აიძულოს მაღაროების მუშები კრიზისის სრული გავითრებამდე დაუბრუნდნენ სამუშაოს? ეს იმედები არ გამართლდა, რადგანაც ნახშირის ამოღება მაღაროებიდან უფრო ნაკლები შეიქნა, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. „ფედერენ რეზერვ-ბიულეტენის" ცნობით ანტრაციტის ამოღება არ უდრიდა ნორმალურ წარმოების 1—3 პროც., უბრალო ხარისხის ნახშირის კი—50 პროც. გაფიცვამდე, მარტში ამოღებულია 8,8 მილ. ტ. ანტრაციტი, გაფიცვების თვეში სრულებით უმნიშვნელო რაოდენობა; მარტში—უბრალო ხარისხების ნახშირი—50 მილ. ტონი, გაფიცვის თვეში—20 მილიონი ტონი.

ნახშირის მრეწველობაში გაფიცვების შედეგები მძიმე საგრძნობი შეიქნება ივნისში რკინის წარმოება მაისის თვეში წარმოებასთან შედარებით შემცირდა და შეუსრულებელ დაკვეთების რაოდენობამ დიდი ნახტომი გააკეთა. ივნისში დაკეტილ იქნა მთელი რიგი ლუმელებისა, ნახშირზე ფასები აიწია და მისი შემცირება იმდენად საგრძნობი გახდა, რომ მთავრობა იძულებული იყო „ნახშირის დიქტატორად"—მისი რაციონალურად განაწილებისათვის და სპეკულიაციასთან საბრძოლველად, დაენიშნა ვაჭრობის მინისტრი გუვერი.

მდგომარეობა უფრო რთულდება რკინის გზებზე გაფიცვების გამო, რაც შეუძლებლად ხდის ნახშირის მარაგის გადაზიდვას.

ევროპის მეურნეობრივი მდგომარეობა. მაშინ, როდესაც აღნიშნულ გაფიცვებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს ამერიკის მეურნეობრივი ცხოვრება, მათი გავლენა ევროპიულ ქვეყნებზე იყო დადებითი ხასიათის.

ამერიკელებმა შეისყიდეს ინგლისის ნახშირი ბლომად. იმათმა ეს მოიმოქმედეს დროულად და მოუხერხებლად, რომ, ერთ-ერთ ინგლისის სპეციალურ ჟურნალის ცნობით, მათ ხელში გაჩნდა 700,000 ტონა ინგლისის ნახშირისა შესყიდულ დაბალ ფასებში. შემდეგი შესყიდვამ მიიღო აშკარა ხასიათი და იქონია გავლენა ფასების აწევაზე და ნახშირის მრეწველობის გაუმჯობესობაზე ინგლისში. ეს გავლენა იმდენად უფრო თვალსაჩინო იყო, რომ ის ქვეყნები, პირველ რიგში კანადა და სამხრეთ ამერიკა, რომელნიც დამოკიდებული არიან ამერიკის ნახშირისაგან, იძულებულნი შეიქნენ მიემართათ ინგლისისათვის. ამასობაში გერმანიამ დაიწყო ნახშირის შესყიდვა ინგლისისაგან. ყოველივე ამან, ერთის მხრივ, შექმნა მაღალი კონიუნქტურა, მეორეს მხრივ—შეასუსტა ინგლისის ნახშირის კონკურენცია საფრანგეთის ნახშირის მიმართ. ინგლისის ნახშირის დიდი რაოდენობის გადაზიდვამ ხელსაყრელი მდგომარეობა შექმნა ფრახტისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ივლისიდან მოტანილი ნახშირი ნახევრად ვერ აკმაყოფილებს ამერიკის მრეწველობის მოთხოვნილებას, მაინც ინგლისის ნახშირმა ცუდი გავლენა იქონია გაფიცულთა მდგომარეობაზე. საერთაშორისო მუშური სოლიდარობის მოვალეობა მოითხოვს ინგლისის მაღაროების და ტრანსპორტის მუშებისაგან, რომ იმათმა უარი განაცხადონ ნახშირის ამოღებაზე, დატვირთვა და გადატანზე შეერთებულ შტატებში. და მართლაც, ასეთი მოთხოვნილება წამოყენებული იყო სამხრეთ უელსის მაღაროების მუშებისაგან.

პროფკავშირთა ბიუროკრატიის ტაქტიკა—აშკარა ღალატია პროლეტარულ სოლიდარობის. სამთომადნო მრეწველობის მუშების წარმომადგენლების საერთაშორისო ყრილობამ, როგორც ვიცით, ინგლისის შტრეიკბეხრერთა მოქმედების წინააღმდეგ არ ამოიღო ხმა და... სასაცილოდ ამერიკის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ გადადვა 10,000 გირვანქა სტერლინგი. ე. ი. ისეთი თანხა, რომელიც 600,000 გაფიცულთა შორის განაწილების დროს თითოს ერგება 6 სენტი.

ჩვენ ჯერ კიდევ საკმაო ცნობები ალაროების მუშების გაფიცვის შედეგების შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ასე თუ ისე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ერთ ერთ ქვეყანაში, სადაც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თვალსაჩინო იყო კონიუნქტურის გაუმჯობესება, შეიქნენ ახალი პირობები, რომელნიც მის, ამ კონიუნქტურის, განვითარებას აფერხებენ.

გერმანიის ვალიუტის კატასტროფა. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ივლისში იყო გერმანიის მარკის კატასტროფა. ჯერ კიდევ ივნისში ასი გერმანული მარკაში იძლეოდნენ ნიუ-იორკში 27 სენტს; ივლისში—12—13 ს. ე. ი. ნახევარს; აგვისტოს შუა რიცხვებში—8—9 ს. ე. ი. ერთი მესამედს.

გერმანიის ვალიუტის კურსის კატასტროფამ იქონია გავლენა დანარჩენ კონტინენტალურ ვალიუტებზე, როგორც ეს შემდეგი ცხრილიდან სჩანს:

ერთი გირვანქა სტერლინგში იძლეოდენ ლონდონში.

	1 ივნ.	1 ივლ.	1 აგვ	15 აგვ.
პარიზი . .	48,8	52,53	54,15	55,9
რომი . .	85,37	94,—	96,—	98,—
ვენა . .	48,500	82,00	22,000	24 800
ვარშავა . .	175,00	207,50	285,000	320,000
სოფია . .	600—	660	725	750
ბელგრადი . .	310	340	3[illegible]5	365

აღმოსავლეთ ევროპის ვალიუტაში მხოლოდ ჩეხეთის ღ რუმინეთის ვალიუტის კურსი აიწია (რუმინეთის ვალიუტის აწევა იყო შედეგი კარგი მოსავლის).

მარკის კურსის კატასტროფიულ დაცემის მიზეზებს სხვა და სხვა ნაირად ხსნიან. გერმანელი ეკონომისტებს უმთავრეს მიზეზად მიაჩნიათ სარეპარაციო მძიმე გადასახადები, ფრანგები კი—გერმანელ კაპიტალისტების და გერმანიის მთავრობის შეგნებულ მოქმედებით, რათა გერმანიას მიეცეს მარატორიუმი და შესაძლებელი გახდეს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა.

ასეთ პირობებში ნამდვილ მიზეზის გამონახვა ძნელია.

ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მომენტები ნათლად მოსჩანან.

მარკის კურსის დაცემის მთავარი მიზეზი—არა სარეპარაციო გადასახადებია. ჩვენ გვგონია, რომ სარეპარაციო გადასახადები არის არა შინაგანი მიზეზი მარკის კურსის დაცემის, არამედ უფრო მისი აღმძვრელი. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ გადასახადების შეტანასთან დაკავშირებულ მარკის კურსის დაცემის შემდეგ, ისევე ჩქარა დგება მისი გაჯანსაღების ხანა.

გერმანიის ვალიუტის კურსის დაცემის ნამდვილი მიზეზი აიხსნება, ჩემის აზრით; იმით, რომ რეალური ხიმდიდრე გერმანიაში ხულ კლებულობს.

ეს ფაქტი აიხსნება შემდეგი მიზეზებით: 1) საქონლის წარმოება, რომელიც მოსახლეობის ერთეულზე იყო ნაანგარიშევი, შემცირდა ომამდე საქონლის წარმოებასთან შედარებით.

ეს წარმოების შემცირება აიხსნება პროლეტარიატის კვების შემცირებით და მატერიალურ საწარმოო იარაღების გაფუჭებით. ამის შესახებ კრუჩინსკი სწერს: ხელფასი ჩვენში იმდენად მცირეა, საქონლების გასაყიდ ფასებთან შედარებით, რომ შეცვალა ცოცხალ ძალებს მანქანით, რომელიც შრომას ინახავს, შეიქნა არარაციონალური. საერთოდ, ნაკლებად მნიშვნელობას აძლევენ წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვს. („ფინანსცკორრესპონდენც". № 26).

მეორეს მხრის უმეტეს შემთხვევაში საზღვარ გარეთ გაყიდულ საქონლის საფასურში ღებულობენ არა საქონელს, არამედ უცხოეთის ფასიან ქაღალდებს და ვალიუტას, რომელთა შეძენას იწყებენ მცხოვრებთა ფართო წრეები, ეშინიათ რა მარკის კურსის დაცემის განვითარებისა.

მესამეს მხრივ, მნიშვნელოვან ნაწილის იმ თანხებისას, რომელთაც იღებენ საექსპორტო საქონლების საფასურში, კაპიტალისტები სტოვებენ იმავე უცხო ქვეყანაში სხვა და სხვა საწარმოო ოპერაციებისათვის. ამასთან ერთად კაპიტალების უცხოეთში მოქცევა გრძელდება სხვა და სხვა ფორმებში. გერმანიის ვალიუტის გაყიდვისაგან მიღებული თანხების არ არიან საკმარისი იმისათვის, რომ შეაჩერონ ქვეყნის გაღატაკება.

ამ გაღატაკებას, რასაკვირველია, შედეგად მოაქვს გერმანიის მარკის შე ყიდვითი ძალის შემცირება. ყველა მოვლენები, რომელნიც ამასთან არიან დაკავშირებულნი,—სხვა და სხვა ფორმით გამოაშკარავებაა ამ რეალურ გაღატაკების. ამას ეკუთვნის პასიური სავაჭრო ბალანსი, კოლოსალურ დეფიციტი სახელმწიფოსი, გამრავლება ტრიალში მოქცეულ ქაღალდის ფულებისა. როდესაც ქვეყანას, რომელიც გაღატაკების გზაზეა დამდგარი, აწვება ლოდი სარეპარაციო გადასახადებისა, და იგი იძულებულია ყოველწლიურად გასცეს უკომპენსაციოდ ოქროს მარკის რამდენიმე მილიარდი, მისი ფულის კურსის დაცემის პროცესი, ბუნებრივია და ღებს კატასტროფიულ ხასიათს. ამ ჩვენს დებულებას ვითომდა ეწინააღმდეგებიან ზოგიერთი ფაქტები. ასე, მაგალითად გერმანიის სავაჭრო ფლოტის ჩქარი აღდგენა და ზოგიერთი ინდუსტრიის გაფართოება. ჩვენ გვგონია, რომ ეს მოვლენები შეადგენენ გამონაკლისს.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ გერმანიაში ადგილი აქვს იმავე მოვლენას, რასაც რუსეთში ქონდა, სახელდობრ: მიუხედავად ემისიის ნომინალურ ჯამის უზვეულო გამრავლებისა, მისი შესყიდვითი ძალა სულ იწევს და იწევს დაბლა. „მ. ს. კომმერსიალში" სამი აგვისტოდან ჩვენ ვხედავთ საინტერესო გამოანგარიშებას. (იხილეთ ქვემო ცხრილი).

ემისიის რეალურ ფასეულობის დაცემა, ამ რიგად ნათლად აშკარავდება:

		ქაღალდის ფულის რაოდენობა მილიარდ მარკებში	გირვანქა სტ. კურსი	საერთო ღირებულება მარკების სტერლინგებში
	1918 წ.	— 32,8	40	820 მილიონი
	1919 წ.	— 49,8	180	270 „
	1920 წ.	— 81,0	250	321 „
	1921 წ.	— 122,2	775	358 „
იანვარი	1922 წ.	— 128,6	860	134 „
თებერვალი	„	— 198,2	97	131 „
მარტი	„	— 139,6	14,25	98 „
აპრილი	„	— 108,8	250	120 „
მაისი	„	— 101,6	125,0	121 „
ივნისი	„	— 178,0	—	100 „
ივლისი	„	— 190	200	76 „

ამ მოვლენასთან დაკავშირებულია გერმანიაში შერჩენილი „კაპიტალების ნაკლებობა", ან ფულის ბაზრის შეკუმშება, რომელმაც დასახურდავებელ პროცენტის გადიდება გამოიწვია 3-დან 6 პროც.-მდე. კაპიტალების სიმცირეს ამნაირი მნიშვნელობა აქვს. იგი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ქვეყანაში ნაკლებია რეალური რესურსები საწარმოო აპარატის გასაფართოებლად, ესე იგი რეალურ ფორმაში კაპიტალი არ ყოფნის. ასეთი ხასიათის ნაკლი გამოჩნდება ფულის ტრიალის სფეროში ფულის ნიშნების ნაკლებობის ფორმაში, მასაც მივყავართ ფასების ზრდისაკენ, ე. ი. ისევე ფულის ნაკლებობისაკენ. მაგრამ კაპიტალის სიმცირე შეიძლება იყოს შედეგი სიძვირის უფრო ჩქარი ტემპით ზრდისა, ვიდრე ტრიალში მოქცეულ ქაღალდების რაოდენობის გამრავლების. გერმანიაში ადგილი აქვს ორივე მოვლენას და არავითარ შემთხვევაში დასახურდავებელ პროცენტის ნორმის გადიდებისაგან არ შეიძლება კონიუნქტურის გაუმჯობესობის დასკვნა გამოვიტანოთ.

მარკის კატასტროფამ იქონია გავლენა არა მარტო დაბალი ვალიუტის კურსის მქონე ქვეყნებზე, არამედ მაღალ ვალიუტიან ქვეყნებზედაც. შეერთებულ შტატებში მარკის კურსის დაცემამ გამოიწვია სასოფლო სამეურნეო საგნებზე ფასების დაწევა. ბაზარმა უკვე პასუხი გასცა გერმანიის შესყიდვითი ძალის მომავალ შემცირებას.

მოსავალის შედეგები. ამ ჟამად უკვე მოიპოვება თითქმის სრული ცნობები უმთავრეს ქვეყნებში მოსავალის მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ შეერთებულ შტატებში და კანადაში მოსავალი უკეთესია, ვიდრე ეს იყო ნაანგარიშევი. მაგრამ ევროპაში მოსავალი ნაკლებია შარშანდელზე. პირველ რიგში ეს ეხება გერმანიას, საფრანგეთს და ვენგრიას; რადგანაც მარცვლეულობის მარაგი უმნიშვნელოა, ამიტომ ანგარიში უნდა გაეწიოს სურსათ-სანოვაგის, განსაკუთრებით ხორბალის, ნაკლებობას ევროპის მასშტაბით.

ასეთი მდგომარეობა უფრო აღრმავებს უფსკრულს კონტინენტალურ ევროპისა და ზედმეტი წარმოების ქვეყნებს შორის. ხორბალის მოხმარება, რომელიც ომამდე უდრიდა 2 მილიარდ ბუშ., 1917 წ. კი აიწია 1,85 მილიარდ ბუშ. ამ წელში უნდა ვუცადოთ ახალ დაცემას. კონტინენტალურ ქვეყნების პროლეტარიატის მდგომარეობა უფრო მძიმე შეიქნება, გაუარესდება სავაჭრო ბალანსი და ევროპის ვალიუტის მრუდი იქვევდაბლა წავა.

ასეთ სიტუაციაში რუსეთის გამოსვლა საერთაშორისო ბაზარზე სურსათ სანოვაგის მომწოდებელის როლში—ხდება აუცილებელი. „დასავლეთის კაპიტალიზმს არ შეუძლია გვერდი აუაროს დიდი ხნით ნედლეულობის ამ ცენტრს", სწერს უკიდურესი კონსერვატორი პროფ. გეტჩი „ველ ტ—ვირტს შაფტსცეიტუნგში" (4 ივლისი 1922 წ.).

პურის მსოფლიო ბაზრის ასეთი მდგომარეობა ხსნის იმპერიალისტურ ქვეყნების სხვა და სხვა გვარ დამოკიდებულებას საბჭოთა რუსეთისადმი: შეერთებული შტატები, რომლის პოლიტიკა განიცდის ფერმერების გავლენას, უფრო მტრულად უყურებენ რუსეთს, ვიდრე სხვა ევროპის ქვეყნები, რომელთაც ესაჭიროებათ პური და ნედლი მასალა. ამავე მიზეზით საფრანგეთის პოლიტიკა რუსეთისადმი მტრულია.

ე. ვარგა.

მუშათა ცხოვრება

მისაბაძი მაგალითი

მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოს მუშებს არავითარი კავშირი არ ქონდათ დასავლეთ ევროპის მუშებთან. დღეს ასეთი კავშირი არსებობს და აი ამის ერთი მაგალითი. საქართველოს მეტყავეთა მუშების კრებამ იმსჯელა საერთაშორისო კაპიტალის მეტყავეთა წინააღმდეგ გადასვლაზე და დაადგინა გადასდვან ერთი დღის გასამრჯელო ლოკაუტით დათხოვნილ დასავლეთ ევროპის მუშების სასარგებლოთ. საქართველოს მუშები თავის ღარიბ ჯიბიდან თავის ლუკმას დასავლეთ ევროპის ძმებს უწილადებენ. ეს დიდათ სასიამოვნო ამბავია და სასურველია ამ მაგალითს სხვა დარგის მუშებიც მიბაძავდენ.

მეტყავე.

შრომის ბირჟა

შრომის ბირჟას შენობა ისეთი ანტისანიტარულ და მოუწყობელ მდგომარეობაში იყო, რომ იქ შემომსვლელს სული დაეხუთებოდა. ჩვეულებრივათ უზომო ხალხი იყრიდა თავს, არ იყო არავითარი წესრიგი. ახლა ამას ყურადღება მიექცა. ოთახში დადგმულ იქნა ჰაერის გასაწმენდი ვენტელიატორი. დადგმულ იქნა აგრეთვე გადადუღებულ წყლის ორი ბაკი. შენობა კიდევ ვიწროა და სასურველია მის გაფართოვებაზე იზრუნებდენ.

უმუშევარი.

მუშათა სახლები

ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში არსებობს მუშათა სახლები. ეს სახლები მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ის უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია მზრუნველ ხელს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია თვით კავშირებმა. მან დასდვა ხელშეკრულება ქალაქის აღმასკომთან მუშათა სახლების რემონტის შესახებ. ქალაქის აღმასკომმა ამ საქმეში უმოქმედობა გამოიჩინა. მაშინ ეს საკითხი დადგა ს. პ. კ. ს. პლენუმის სხდომაზე. აქ არჩეულ იქნა კამისია ამ საქმის მოსაგვარებლათ, კომისიამ უკვე გამოიკვლია მუშათა სახლები და საჭიროთ დაინახა სახურავების შეკეთება, წყალსადენ მილების და კანალიზაციის რემონტი. ამ მხრივ უკვე დაიწყო მუშაობა და ეს მუშაობა განზრახულია 2 კვირის განმავლობაში დასრულდეს კიდეც. სასურველია არც ერთი სახლი არ დარჩებოდეს შეუკეთებელი.

მუშა.

ლიც უკანასკნელი დროის განმავლობაში ძლიერ შესუსტდა, რადგან მევრი წევრები და ხელმძღვანელნი კლუბის წევრებისა ზაფხულშა ქალაქში არ იმყოფებოდენ. სექცია ღებულობს ზომებს ზოგიერთ წრეების რეორგანიზაციისათვის და მათი გამოცოცხლებისათვის. სექცია უდიდეს ყურადღებას აქცევს ქალაქში და მის მიდამოებში ბერძნულ გაზეთის „კომუნისტი“-ს გავრცელებას. სულ გავრცელებულია სხვადასხვა სოფლებში, ჩაქვის რაიონში, თბილისის მაზრაში ნოვოროსისკში და სხვაგან გაზეთის 4,240 ეგზემპლიარი.

ქრონიკა

◆ **მოძრავ მაღაზიების მოწყობა.** რკინის გზის ხაზის რკინის გზელებისათვის კოოპერატივის საქონლის მისაწოდებლად, ამიერ კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელმა საზოგადოებამ გზების სამმართველოს დახმარებით სექტემბრიდან მოაწყო პირველი მოძრავი მაღაზია. ტრანსპორტის მომხმარებელ საზოგადოების პირველი ცდა უნდა აღინიშნოს, როგორც დახმარების გაწევა პატარა სადგურების მოსამსახურეთათვის, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით, რომლებიც დღემდე იმყოფებოდენ წვრილი მევახშის ხელში. პირველმა მოძრავმა მაღაზიამ, რომელიც ბათომში გააწყვეს პირველი მოთხოვნილების საგნებით გამოიწვია დიდი აღფრთოვანება რკინის გზის ხაზზე და აღადგინა ნამდვილი კავშირი ცენტრისა და პერიფერიების შორის. დილის 7 საათიდან ვაგონთან ჩნდება რიგი და სხლდება საქონელი სასწრაფოდ. ფასები ყველაფერზე ნაკლებია ბაზართან შედარებით 30—40 პროცენტით. სამი დღის განმავლობაში სამტრედიამდე ვაგონი უკვე გაიცალა და დააბრუნეს ბათომში ხელახლა დასატვირთავად. ამ ჟამად აღნიშნული საზოგადოება შეუდგა კიდევ ორი მაღაზიის მოწყობას, ადერბეიჯანის და სომხეთის ხაზზე.

◆ **ახალი საბაჟო გადასახადის შესახებ.** საბჭოთა რუსეთის მიერ საბაჟო ტარიფის შემოღების გამო კერძო კომერსანტები და სპეკულიანტები სარგებლობენ ამ შემთხვევით და უმატებენ ფასებს პირველ მოთხოვნილების საგნებზე ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი იტყობინება, რომ საბაჟოს ხარკის შემოღებამ პირველი მოთხოვნილების საგნების ფასებზე არ უნდა იქონიოს გავლენა, ვინაიდან განაკვეთების შორის განსხვავება უმნიშვნელოა მით უფრო, რომ ოქროს მანეთის კურსი შემოზიდვაზე დაწესებულია 60 ათასი მანეთი (ქართული ბონებით).

◆ **სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობ მასალის განყოფილებაში.** ბაქოდან მიღებულია ცნობა მაგიდის მისამართით, 27 სექტემბერს 22,400 ფუთი მაზუთის, 6,900 ფუთი ნავთის და სამი ცისტერნი ბენზინის გამოგზავნის შესახებ.

◆ **სასურსათო სახ. კომისარიატის შუამდგომლობა.** საქართველოს სასურსათო სახ. კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე. სპეციალურ ფონდის შექმნის შესახებ მოგებიდან განსაზღვრული პროცენტების გადარიცხვის საშუალებით სასურსათო სახ. კომისარიატის ენერგიულ თანამშრომელთათვის პრემიების მისაცემად. უარჰყო რა ეს შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ნება დართოს სასურსათო სახ. კომისარიატს თავის შეხედულებისამებრ შეუთანხმდის ამა თუ იმ ენერგიულ თანამშრომლებს.

◆ **მდგომარეობა თბილისის ბაზარზე.** ოსმალეთის ქაღალდის ლირის კურსის დამყარების გამო, ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის საინფორმაციო განყოფილება იტყობინება ყველა საზღვარგარეთელ საქონელზე ფასების ზრდის შეწყვეტის შესახებ. გაიზარდა მოთხოვნილება ყველა საქონელზე. განსაკუთრებული მოთხოვნილებაა მანუფაქტურაზე. ადგილობრივ საქონლიდან ფასებმა აიწიეს ხორბალზე. საქონლის ფასები შემდეგია: ამერიკული ფქვილი „ნილსონი“—650, დურუმი—500, ამაზონი—470, ადგილობრივი—300—260, სიმინდის ფქვილი—180—200, ხორბალი—130—260, სიმინდი—120—130.

ქერი—130—140, შაქრის ფხვნილი 1.000—1010. სახარინი „ასი ფროსი“ კილო—3 650 ნარმა—ნაჭერი—2.650, ჩითი თოფი—40—50. ინგლისური შევიოტი—800—1500, უბრალო შევიოტი—400—600, სატინა—55—200, სარეცხი საპონი ტოლი—4.500, მარსელის საპონი ყუთი კილო „მამალი“—4,500, მარსელის დანარჩენი ხარისხისა ყუთი 50 კილო—4.400, მარმარილოს საპონი—1.200.

◆ **ფოთლოვანი თამბაქოს რეალიზაცია.** საჭიროდ იქნა ცნობილი გადაეცეს თამბაქოს სინდიკატის განკარგულებაში მთელი ის ფოთლოვანი თამბაქო, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ორგანოების განკარგულებაში ფედერაციის საზღვრებში. ამ თამბაქოს რაოდენობა უდრის 1 300 ათას ფ., აქედან სამხრეთ აღმოსავლეთის სამრეწველო ბიუროს განკარგულებაში —750 ათასი ფ. ამიერ კავკასიის რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის კომისარიატის განკარგულებაში—107 ათასი ფ. და საგარეო ვაჭრობის კომისარიატში 200 ათასი. ფ. საკითხი გადაეცა საბოლოვო გადასაწყვეტად შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

◆ **ექ. ცეცხლაძის ლექცია,** პარასკევს, 29 სექტემბერს სად. 8 საათზე ზუბალაშვილის სახ. სახლში ექ. ცეცხლაძე კითხულობს ლექციას შემდეგ თემაზე: **უკვდავება ბიოლოგიური თვალთახედვით.**

ქ. თბილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ

23 ივლისს მიმდინარე წლისა მე-7 რაიონის მილიციის უფროსმა გამოგზავნა ქალაქის პირველ მიკროსკოპიულ სადგურში ექ. ვეტერინარის მიერ შეუმოწმებელი და ქალაქში დაჭერილი ცხვრის ხორცი, რომლის ნახევარი ხორცის პატრონს, სოფ. ქარაჯალაში მცხოვრებ, ალავერდ-ოღლი ოღლსაუკვე გაეყიდა. მიკროსკოპიულად (გარეგანი შეხედულობით) ხორცი სალი ჩანდა, ხოლო როდესაც სადგურის დროებით გამგემ ექ. ვეტ. ბურჯანაძემ მიკროსკოპის საშუალებითაც გასინჯა ხორცი, ეს უკანასკნელი აღმოჩნდა დაავადებული ციმბირის ჭირით, რომელიც მოკლე ხანში კლავს ყოველივე სულდგმულს. ეს საშინელი სენი გადადის კაცზედაც და ასალმებს მას წუთისოფელს.

ციმბირის ჭირი ამ უკანასკნელ დროში ძლიერ გავრცელებულია რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში (მარიამობისთვეში) ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურებზე იყო აღმოჩენილი სოფლებიდან მოტანილ ხორცზე თორმეტი შემთხვევა აღნიშნულ სენისა.

მან უკვე იმსხვერპლა რესპუბლიკაში ამ მოკლე ხანში რამდენიმე კაცი და დიდძალი რიცხვი პირუტყვისა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ ვეტერინალური დაწესებულებანი: რესპუბლიკის ვეტერინარსანიტარული და აგრეთვე ქალაქის სავეტერინარო განყოფილებაც თავის თანამშრომლებით, ექ ვეტერინარით და მათი თანაშემწეობით, მაგრამ ეს ბრძოლა რომ უფრო ნაყოფიერი იყოს, საჭიროა, თვით მცხოვრებლები დაინტერესებულნი იყვნენ და ღებულობდნენ ამ სენის წინააღმდეგ ზომებს ყოველი მცხოვრები (მომხმარებელი) თვალყურს უნდა ადევნებდეს, რომ არ იყიდებოდეს ბაზარზე სათანადო დაუბეჭდავი და სავეტერინარო ზედამხედველობის მიერ შეუმოწმებელი ხორცი. თუ კი ასეთი შემჩნეული იქნება, ეს დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ქალაქის მილიციის აგენტებს, რომლებიც გაგზავნიან ასეთ პროდუქტს ქალაქის ერთ-ერთ მიკროსკოპიულ სადგურებზე შესამოწმებლად. მცხოვრებლების საყურადღებოთ ცხადდება, რომ ხორცის გასასინჯი სადგურები იმყოფებიან შემდეგ პუნქტებში: 1) ცენტრალური მიკროსკოპიული სადგური გრაფის ქ. № 14, სალდათის ბაზართან ახლოს და 2) ვაგზლის ქ. № 16.

ქალაქის სავეტერინარო განყოფილება.

პარტიული ცხოვრება

პარტიის უმაღლეს ორგანოს დადგენილებით, გენერალურ ხელახალი რეგისტრაციის, საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა შემოწმების და გაწმენდის შესახებ,

ცენტრალურ შემმოწმებელი კომისია

კორომჩენკოს თავმჯდომარეობით და წევრთა ამხ. თოდრიას და სტურუას შემადგენლობით იწყებს რა საპასუხისმგებლო და რთულ მუშაობას,—მიმართავს პარტიის წევრებს და უპარტიო ამხანაგებს, რომელთათვისაც ძვირფასია მმართველი პარტიის ძლიერება და მუშურ გლეხური ხელისუფლების აყვავება—დაეხმარონ ცენტრალურ კომისიას მის რთულ მუშაობაში მასალების მიწოდებით, პარტიის როგორც უბრალო წევრთა ისე პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედების და შეუფერებელ მოქმედებათა შესახებ.

კომისიისადმი ყოველი მიმართვა და პარტიის წევრთა წინააღმდეგ საბრალმდებლო მასალები უნდა იყოს წარმომდგენის მიერ ხელმოწერილი, ხოლო ცენტრალური კომისია იძლევა გარანტიას საიდუმლოდ შეინახოს მასალის მიმწოდებლის ვინაობა.

ყველა ამხანაგებს, პარტიულებს და უპარტიოებს, რომელნიც გამოდიან საზოგადო კრებებზე გაწმენდის დროს ამა თუ იმ წევრის ბოროტმოქმედებათა გამოსამჟღავნებლად, მიუხედავად მისი მდგომარეობისა სამსახურში, კომისია აძლევს გარანტიას დაცულ იქნეს მათი სრული ხელშეუხებლობა.

ცენტრალურ შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე: **კორომჩენკო.**

წევრები: **თოდრია, სტურუა.**

მისამართი: რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, პეტრე დიდის ქ. № 8, ოთახი 8.

საქართველოს კომპარტიის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

აცხადებს ყველა ამხანაგების საყურადღებოდ, რომ მუშათა ფაკულტეტზე მიღება რუსულ განყოფილებაში დამთავრდა, ქართულ განყოფილებაში—გრძელდება.

მუშათა ფაკულტეტზე მასალები გამოცდები დანიშნულია კვირას 1 ოქტომბერს, დილის 9 საათზე ქიმიურ ლაბორატორიის ბინაზე (სერგიის ქ. № 8. შესავალი ლერმანტოვის ქუჩიდან).

3—1. ტფ. კომ. საგიტ.-საპროპ. განყოფილების გამგე მ. ეხსენი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, 29 სექტემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში:

1) ბაქოს კომუნის დაღუპვა და 26. 2) პარტიის გაწმენდა.

როგორც მასალები ისარგებლონ: პირველი საკითხისათვის: „ბაკინსკი რაბოჩი“ საიუბილეო ნომრით 20 ოქტომბრიდან (შეიძლება შეძენა თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო სააგიტაციო განყოფილებაში 25,000 მანეთად); მეორე საკითხისათვის—ბროშურით „მეტი ყურადღება პარტიას“ და გაზეთ „ზარია ვასტოკით“ 26 სექტემბერი № 83.

თ.ბ. კომიტ. მდივანი: კახიანი.

(3—3)

შაბათს, 30 სექტემბერს, დილის 12 საათზე, თბ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება

ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობ კომისიის თათბირი.

მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: სეპაპურიძე—პოლიტიკური განათლების განყოფილებისაგან, კოვინევი—თბილისის კომიტეტის ახალგაზრდობის კომკავშირისაგან, კავკასიის ცალკე არმიის და საქართველოს არმიის წარმომადგენლები.

სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ამხანაგებს გამოცხადდნენ თავის დროზე.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე: მ. ეხსენი.

(3—2)

კვირას, 1 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მუშათა მთლიან კოოპერატივის ბინაზე (კირკის და კამოს ქუჩის კუთხე) გაიმართება

კოოპერაციის იმ მუშაკთა თათბირი,

რომელნიც გატარდენ რეგისტრაციაში საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტში.

დღის წესრიგი:

1) კოოპერატიული პოლიტიკა სრულად რუსეთის პარტიულ კონფერენციის თათბირზე

2) კოოპერატიული პოლიტიკა საქართველოში და პარტიის უახლოესი ამოცანები.

კოოპერაციის ყველა მუშაკთა დასწრება პარტიული დისციპლინის მიხედვით სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი—კახიანი.

(3—1)

ცირკულიარულად № 185

ყველა რაიკომებს

თბილისის პარტიულ ორგანიზაციების პროფკავშირების ფრაქციებთან დასაკავშირებლად, საქართველოს კომპარტიის, თბილისის კომიტეტი ახდენს შემდეგ მიმაგრებას:

მელითონეთა ფრაქციაზე—ივანოვი, კომუნალურ მეურნეობის მუშ. ფრაქციაზე—იტრიევი და ივანოვი, გვიმოკვების ფრაქციაზე—ნაზაროვი, ტრანსპორტის ფრაქციაზე—აკოპოვი, მკერავების ფრაქციაზე—ქორიძე, ფეიქრების ფრაქციაზე—ხაცკევიჩი და ქორიძე, მეტყავეების ფრაქციაზე—ვართაპეტოვი, მბეჭდავების ფრაქციაზე—კარპი, ხელოვნების მუშაკთა ფრაქციაზე—არუსტანოვი, განათლების ფრაქციაზე—კახიანი, ხის დამმუშავებელთა ფრაქციაზე—ფეოდოროვი, სახალხო კვების ფრაქციაზე—ტერტეროვი, რკინის გზელთა საუბნო პროფკავშირის ფრაქციაზე—გოლდბაუმი, საექიმო-სანიტარულ მუშ. კავშ. ფრაქციაზე—რუბენი, საბჭოთა მუშაკების ფრაქციაზე—კახიანი, საალმშენებლო კავშირის ფრაქციაზე—ბელსკი, მიწა-ტყის კავშირის ფრაქციაზე—ამასი.

1) მიმაგრებული ამხანაგები ვალდებული არიან დაესწრონ ფრაქციების ყველა სხდომებს და გაეცნონ სათანადო კავშირების საქმეებს.

2) პერიოდულად მიმაგრებულმა ამხანაგებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ ფრაქციებში თავიანთ მუშაობის შესახებ რაიონულ კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს.

თბილისის კომიტეტის მდივანი კახიანი.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე რუბენი.

პროვინციაში

ზუგდიდის მაზრა

ს. შამგონაში გაიმართა მასსიური კრება, 1922 წ. 31 აგვისტოს. კრებას დაესწრო 200 კაცამდე, თავმჯდომარეობდა ამხ. იასონ სორდია, მდივნობდა ამხ. იოსებ გაბუნია. დღიურ წესრიგში იყო დასმული საკითხი მომენტის შესახებ. მაზრიდან ჩამოსული ინსტრუქტორი ორგანიზატორი ამხ. ვ. ჯღამაიამ გააკეთა მოხსენება, სადაც აღინიშნა უპირველესად ყოვლისა საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობა, ის დეტალურად შეეხო საბჭოთა ხელისუფლების საალმშენებლო მუშაობას, შემდეგ მომხსენებელი გადადის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მდგომარეობაზე, აღნიშნავს თუ რამ გამოიწვია გენუის და ჰააგის კონფერენციები. ახასიათებს ამ კონფერენციების მუშაობას. აგრეთვე ეხება მოხსენებული ესერების პროცესს, მათი დასჯას უზენაეს ტრიბუნალის მიერ და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის განაჩენს. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტის მუშაობას და ეხება დაწვრილებით თუ რა გააკეთა დამშეულთა მთავარ კომიტეტმა საქართველოში, ამხაგაგი ამით ამთავრებს მოხსენებას და მოუწოდებს მშრომელ მასსას პატიოსან მუშაობისაკენ.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ წინადადება ყოველ კვირაობით გამართულ იქნეს ასეთი კრებები, რაც მიტინგმა დაადასტურა. დადგენილ იქნა, ეთხოვოს მაზრის კომიტეტს, ყოველ კვირაობით გამოგზავნონ მომზადებული ამხანაგები, რომლებიც განმარტავენ ჩვენ მიერ გაუგებარ საჭირ-ბოროტო საკითხებს.

ვარლამ ჯღამაია

სარედაქციო კოლეგია

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებით, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში.

(0—29)

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადების ამკრეფი

ბიურო

აცხადებს

რომ ვერის ბორცვზე 21 სექტემბრიდან გადაუვანის ქირა

იქნება 2.000 მანეთი.

(კრ. 345—6—6) სოიჯარო მაგიდის გამგე დარახველიძე.

დაიბეჭდება და იყიდება

სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში

„საგნობრივი სარჩევი და ქრონოლოგიური ნუსხა“

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1921 წლის დეკრეტებისა, დადგენილებებისა და ბრძანებებისა. ფასი 45.000 მან.

№ 486 2—1

ქალ. თბ. აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ქ. თბილისში შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი

კომისია

აცხადებს ყველა შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად შეწყვეტილია ჯარიმების გადახდევინება 24 სექტემბრიდან ერთი კვირის განმავლობაში, ისე რომ ის პირნი, რომელთაც არ შეუტანიათ შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადი, უნდა შეიტანონ

ოქროს 5 მანეთის გარდა ჯარიმა მხოლოდ სამასი ათასი (300,000) მანეთი ქართული ფულის ნიშნებით.

კომისიის თავმჯდომარე—თაქთაქიშვილი.

პასუხისმგებელი მდივანი და კომისიის წევრი—რუხაძე.

(354—2—2)

საარქივო საგაზეთო **ქაღალდი**

რაოდენობით 150 ფუთი

იყიდება

ხელმისაწდომ ფასებში

ცნობების მიღება შეიძლება: გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში. რუსთაველის პროსპ. № 24.

(5—2)

მცხოვრებთა საყურადღებოდ

ქ. თფილისში შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი

კომისია

წინადადებას აძლევს ყველა

სახლის პატრონებს, სახლების მმართველებს, სახლების კომენდანტებს

და საერთოთ ყველა იმათ, ვის გამგებლობაშიაც იმყოფება სახლები, რომ ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში მოახდინონ სახლის წიგნების და თავიანთ მდგმურების დოკუმენტების ყოველ მხრივი შემოწმება და სათანადო კომისარიატში წარადგინონ სია იმ პირთა, რომელთაც კანონის ძალით უნდა გადაიხადონ ფულით შეცვლილი შრომისა, და ტვირთზიდვის გადასახადი თანახმად ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის სავალდებულო № 6 დადგენილებისა, მაგრამ ჯერ კიდევ არ აქვთ გადახდილი.

შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის ამკრეფ კომისიის კონტროლიორებს წინადადება ეძლევათ აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ მოახდინონ სახლის წიგნების და მდგმურების პირადი დოკუმენტების გენერალური შემოწმება და წარუდგინონ კომისიას იმ სახლის მეპატრონეთა ან მათი მოადგილეთა სია, რომელთაც არ მოიყვანეს სისრულეში ეს დადგენილება და აგრეთვე სია იმ პირთა, რომელთაც განზრახ არ გადაიხადეს შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადი მათ წინააღმდეგ სათანადო ზომების მისაღებათ.

გადასახადების ამკრეფ ბიუროს აგენტებს ევალებათ დაუყონებლივ შეუდგენ მოვაჭრეთა დოკუმენტების შემოწმებას და წარადგინონ კომისარიატში სია იმ პირთა, რომელთაც განზრახ არ გადაიხადეს ხსენებული გადასახადი, თუ ასეთები აღმოჩნდებიან.

კომისიის თავმჯდომარე თაქთაქიშვილი.

პასუხისმგებელი მდივანი და კომისიის წევრი რუხაძე.

(356—2—1)

ტირაჟი 10 000 ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.